ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА В 1920 ГОДУ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 (19748) შაბათი, 3 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მოვუმატოთ მუშაობას

გზა დაგელოცოს, 1987-ო წელო!

ადგა 1987 წელი. ჩვენ მას შევხვდით ნათელი იმედებთან, წარმატება, ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვეთ ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს. მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის საახალწლო მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი და თითოეული ჩვენგანი, ალბათ, შეეკითხა თავის თავს: როგორი იქნება ახალი წელი, რას მოგვიტანს იგი.

ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიაში ახლოვდება სახელოვანი თარიღი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. ეს ისტორიისათვის არცთუ ისე დიდი ცვდა, მაგრამ იმას, რაც ამ დროში გაკეთდა, ალბათ, ექვივალენტს ვერ მოუძებნი. დღეს ჩვენი სამშობლო მძლავრი სახელმწიფოა, მისი ხმა ავტორიტეტულად გაისმის ყველა კონტინენტზე. მას მილიონობით გულწრფელი მეგობარი მყავს. მაგრამ იმათაც კი, ვინც შეერთება ხოლმე სიტყვების „დიდი ოქტომბრის", „ოქტომბრისეული" გაგონებაზე, ვინც აშკარად ავლენს არაკეთილმოსურნეობას ჩვენდამი, არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ საბჭოთა კავშირის აზრს. ხოლო მისდამი ძალით მუქარა ხომ მართლაცდა ფუჭი ჭარჯია.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, როგორც ცნობილია, მშვიდობის დეკრეტი იყო და დღესაც ჩვენმა ქვეყანამ კეთილშობილური მისიით შეაბიჯა 1987 წელში. ქმარა ომები, ეუოფა კაცობრობას იმ შემზარავი უფსკრულის პირას ბალანსირება, რომელსაც ბირთვული კატასტროფა ჰქვია. ორი კვირის შემდეგ ერთი წელი უსრულდება 15 იანვრის ისტორიულ განცხადებას, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღისაგან კაცობრობის ხსნის პროგრამა. ეს პროგრამა ხორცს ისხამს ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, იგი კი დროის მოთხოვნაა და არა პროპაგანდისტული მოწოდება. და რაოდენ უპასუხისმგებლოდ იქცევიან კაცობრობის სინდისის წინაშე ის დასავლელი პოლიტიკოსები და „შიშის პროპაგანდისტები, რომლებსაც არ სურთ ყურად იღონ გონიერების ხმა, ახალი აზროვნების ხმა. უფრო მეტიც — ამის ნაცვლად, რომ მხარი დაუჭირონ საბჭოთა მორატორიუმს, ისინი ხალხს აშინებენ მოგონილი „საბჭოთა საფრთხით", ქმნიან ფიალმებს ვითომდა ამერიკაში საბჭოთა კავშირის შეჭრის შესახებ, თხზავენ წარმოუდგენელ მონაჭორებს.

რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილებში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები ერთსულოვნად უმერენ მხარს 15 იანვრის განცხადებაში წამოყენებულ ინიციატივებს, გამოთქვამენ რწმენას, რომ სსრ კავშირი, სოციალისტური თანამგზავრობის სხვა ქვეყნები ახალ წელსაც პირნათლად და ღირსეულად შეასრულებენ საშშვიდობო მოსიას. საბჭოთა ადამიანები კვლავაც პირდებიან მხურვალე მხარდაჭერას კომუნისტური პარტიის და მთავრობის საშშვიდობო საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას.

ამ თავიანთი მხარდაჭერის გამოხატულებად მათ ის მიიჩნიეს, რომ განამტკიცონ საშშობლოს ძლიერება. ეს ძლიერება კი, უწინარეს ყოვლისა, შრომით და მხოლოდ შრომით მიიღწევა. 1987 წელი მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელია. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. შეგვიძლია მოვიყვანოთ ზრდის ციფრები, რომელიც მთლიანად ქვეყნის მიხედვით დავისახეთ, მაგრამ უმჯესელია ერთი რამ: ეს გეგმები შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების კურსს, მათში მთავარი ყურადღება ეთმობა შარშან მიღწეული პოზიტიური ძვრების განმტკიცებას და განვითარებას.

ამ ძვრების განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ერთი რამით — ისევ და ისევ შრომით.

„დამდეგ წელს უნდა დავლაშქროთ კიდევ უფრო მაღალი მიჯნები ეკონომიკაში, განვახორციელოთ საწარმოთა ფართო მასშტაბის გადასვლა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, მკვეთრად გავაუჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებშიც, — ნათქვამია საახალწლო მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი, — კარგად ვიცით: ჩვენს საქმეს სხვა არავინ გაგიკეთებს, არავინ გადაგიწყვეტს ჩვენს ამოცანებს, ჩვენს პრობლემებს. უველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ, ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უსათუოდ უნდა მოუმატოს მუშაობას, საფუძვლიანად მოუმატოს. მხოლოდ ასე შევძლებთ უზრუნველყოთ დაჩქარება და მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი".

ჩვენ ბევრი ისეთი კოლექტივი გვყავს, რომლებმაც იციან სრული უკუგებით შრომა. ჩვენ მოვუწოდებთ საუკეთესოთა მიბაძვას, მათი გამოცდილების გაზიარებას. და ახალ წელსაც ეს საკითხი არ იხსნება დღის წესრიგიდან, მითუმეტეს, რომ დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრშია მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა. ყველა უნდა სწავლობდეს გამოცდილებას, სწავლობდეს საუკეთესოთაგან.

ჩვენ რევოლუციურ დღესასწაულებს ტრადიციისამებრ ყოველთვის ვხვდებით საყოველთაოსახალხო შეჯიბრების გაჯანებითაც და შრომითი ნობათებითაც.

ქვეყანაში ყველანი იცნობენ ვ. გვოზდევისა და ა. პოტაპოვის მეშახტეთა კოლექტივებს, აგრეთვე ვ. სიდორენკოს ბრიგადის მბურღავ-მენავთობეებს. მათ წამოაყენეს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გაზრდისა და ორი წლის გეგმის ოქტომბრის იუბილესათვის შესრულების ინიციატივა. ამ პატრიოტულ თაოსნობას — კონკრეტულს, ბევრისათვის ხელმისაწვდომს — ყველგან უნდა გამოეჩინონ მიმდევრები. მაგრამ ეს თვისთავად არ ხდება. ლოზუნგი ლამაზ ფრაზად რჩება, თუ მას დაინტერესებთ, სურვილით, საქმით არ განვამტკიცებთ. და აქ უპირველესი სიტყვა ეკუთვნით კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს. მათ მართებთ კოლექტივების გაძღოლა.

დამდეგ წელს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ნოვატორობის წელი. სწორედ ეს ესტაფეტა გადმოსცა მას 1986 წელმა. შეხედეთ, რამდენი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება უცდის თავის რიგს. ახალ პირობებში იმუშაებენ მთელი ინდუსტრია, აგრონომიული კომპლექსი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ენერგიულად უნდა ვაწარმოოთ გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, უნდა განვაგრძოთ ის, რაც დაიწყო.

ჩვენ ღრმა ცვლილებების გზას დავადგეთ. ვიცით, წინ ბევრი სიძნელე და პრობლემაც გველის. ისინი დღესაც გვაქვს. ჯერ კიდევ იჩენენ თავს მოდუნებისა და გულარხეინობის ძალები. ყველაფერი ისე ვერ მიგვდის, როგორც გვინდა. მაგრამ არსებობს გავაკეთოთ და სხვა გზა არ არის. ინიციატივა და გულდაჯერება, კრიტიკა და საჯაროობა, დემოკრატია და დისციპლინა — აი ჩვენი პოლიტიკური და ზნეობრივი პოზიცია, სოციალისტური წყობილების განვითარების ეფექტიანი საშუალებები.

ჩვენ სხვა რამეც ვიცით: ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, რასაც ვესწრაფვით, რასაც სულით და გულით ვგულშემატკივრობთ, ადამიანისათვის კეთდება. 1987 წლისათვის გათვალისწინებულია ჩვენი სახელმწიფო გეგმის სოციალური მიზანდასახულობის მნიშვნელოვანი გაძლიერება. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოხმარდება ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით სამი მეოთხედი. განხორციელდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავენ. მაგრამ საამისოდ ისევ და ისევ საჭირო, რომ თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იშრომოს, მოუმატოს მუშაობას.

და უნდა მოვუმატოთ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე, ისე, რომ მზადებასა და უფუსტყუვაობას არ მოვანდომოთ დრო. გადაუდებელი საქმე ბევრია. ეს ეხება ქარხანა-ფაბრიკების მშრომელებს, ტრანსპორტელებს, რომლებმაც ზამთრის პირობებში ზუსტად უნდა იმუშაონ, არ დაუშვან შეფერხებები, სოფლის მექანიზატორებსა და მეცხოველეებს, კავშირგაბმულობის მუშაკებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს — თითოეულ ჩვენგანს.

უთუოდ მრავალი მოვლენით აღინიშნება 1987 წელი. არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ ამ წელს 75 წელი უსრულდება ლენინურ „პრავდას", ხოლო 18 იანვარს მისი მე-25-ათასე ნომერი გამოდის.

1987 წელი მოაბიჯებს საბჭოთა ქვეყანაში. დაე იგი ახალი წარმატებების წელი ყოფილიყოს სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძმური ოჯახისათვის. დაე აღსრულებულიყოს ჩვენი გეგმები და ჩანაფიქრები, იმედები და მისწრაფებები. დაე არასოდეს დაშორებოდეს ერთმანეთს ჩვენი სიტყვა და საქმე.

გზა დაგელოცოს, 1987-ო წელო!

ПРАВДА
2 იანვრის მოწინავე

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველი დღეები დამკვრელურად აღნიშნეს თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანაში. მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიტალი მარტუჩენკო, რომან ტაბატაძე, თემურ მაზანაშვილი და იური კოსაკოვი ხელმძღვანელობენ, მომხმარებელს 1987 წლის პირველ დღეს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს ქარხნის ძირითადი პროდუქცია — ჩასატანებელი დეტალების რკალური შედუღებისათვის განკუთვნილი ავტომატები. შრომითი წარმატება მათთვის უცხო არ არის, — შარშანდელი წლის სახელმწიფო დაგალება ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულეს და ადრიანად დაიწყეს მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ

საწარმოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. აქაურმა მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს როგორც ძირითადი პროდუქციის, ისე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების შარშანდელი წლის სახელმწიფო გეგმები, შრომის ნაყოფიერებამ გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 13,7 პროცენტით იმატა. ქარხანაში მომუშავე თითოეული მუშა ასრულებს გამომუშავების ნორმებს. წარმატების საფუძველია ყოველდღიური ინტერესი შეჯიბრების მოწინავეთა მუშაობისადმი, შემოქმედებითი თანამეგობრობის ატმოსფეროს დამკვიდრება. ქარხანაში დაამტკიცეს, რომ შეჯიბრების ეფექტიანობა გაცილებით მეტია, როცა ერთმანეთს შეუდარებენ არა ცალკეული მუშები, არამედ ბრიგადებისა და უბნების შედეგებს. თუ ვინმე შრომის დისციპლინას დაარღვევს, მთელი კოლექტივი აგებს პასუხს. რაღა თქმა უნდა, საწყენია, როცა ამ მიზეზით ბრიგადა გამარჯვებულთა რიგებს გამოაკლდება. სოციალისტური შეჯიბრების ამ ფორმამ ხელი შეუწყო თითოეულ სამუშაო უბანზე შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ურთიერთმომთხოვნელობის გაძლიერებას, შესრულებული სამუშაოსადმი კონტროლს.

(„კომუნისტის" კორ.).

ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ.კორ.). დამკვრელურად შრომობს ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივი. აქაურმა მშრომელებმა 17 დღით ადრე შეასრულეს მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმა. საწარმომ წლის დამდეგიდან 10,110 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. ასევე წარმატებით შესრულდა ენერგეტიკული კონცენტრატის გამოშვების წლიური დავალება. შახტის თითოეულ მუშა გრაფიკის დიდი ბანერებით მუშაობს და სისტემატურად გეგმის გადამეტებით მიაწოდეს ქარხნის ძირითადი პროდუქცია — ჩასატანებელი დეტალების რკალური შედუღებისათვის განკუთვნილი ავტომატები. შრომითი წარმატება მათთვის უცხო არ არის, — შარშანდელი წლის სახელმწიფო დაგალება ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულეს და ადრიანად დაიწყეს მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ" საწარმოო გაერთიანების მრავალდარგოვანმა კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნა მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის დაწყება. აქ წლისდამდეგისათანავე საწარმოთა ბევრმა ბრიგადამ, უბანმა უდიდესი შრომის ნაყოფიერება გამოავლინა და დღის ნორმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. თავი გამოიჩინეს ჩოროხის ბარტის მაღაროთსამმართველოს მუშებმა ემელიან სვანმა, ჯემალ სადღობელაშვილმა, მახარაძის მაღაროთსამმართველოს მძღოლმა ერეკლე მენაბდემ. მათ ამ დღეს დათქვეს: მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

მომავალში მიღწევების მოპოვებისათვის გაერთიანებას საამედო საფუძველს უქმნის შარშანდელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. აქაურმა მშრომელებმა ვადამდე, 15 დეკემბრისათვის შეასრულეს 1986 წლის სახელმწიფო დავალებები. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 1500 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს, მათ შორის 5900 ტონა ბარიტის კონცენტრატი, 5000 ტონა ბუნებრივი ცეოლითი და სხვ. აქ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 8 პროცენტს მიაღწია, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 1 პროცენტით შემცირდა.

„კომუნისტის" კორ.

ᲘᲮᲐᲠᲔᲗ, ᲘᲛᲠᲐᲕ-ᲚᲔᲗ!

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ზ. კაკაბაძის პლაკატი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ:

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველი — ბევრი ჩვენგანისათვის არასამუშაო დღე ზეგემითი დნობით აღნიშნეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეებმა. 200 ტონაზე მეტი დამატებითი პროდუქცია შემატეს პირად ანგარიშს მარტენის ღუმლის მშრომელებმა. დამატებითი პროდუქცია, ძირითადად, ჩქაროსნული დნობის ხარჯზეა მიღებული. ჩქაროსანი მეფოლადე ცენტრალური ფიგურა გახდა მარტენის საამქროში. მეფოლადეები მსარს უსწორებენ მოწინავეებს — თ. სპანდერაშვილს, ტ. მარუაშვილს, ზ. ჭყოიძეს, გ. ჭიაბრიშვილს, პ. პაშკინს, შ. კაკობაშვილს, რომლებმაც ტონი მისცეს ახალი წლის პირველ დღეებს.

გრაფიკის გასწრებას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ლითონის ხარისხზე: „ფოლადს არა აქვს გადახრები დადგენილი მარკებიდან და ჩინებული ხარისხით გამოირჩევა" — ასეთი ჩანაწერი გაკეთეს საამქროს სამუშაო ჟურნალში სახელმწიფო მიღების წარმომადგენლებმა.

ლითონი არც ყალიბებში დაყოვნებულა, როგორც წინათ ხდებოდა. იგი მყისვე მიაწოდეს ბლუმინგს, ხოლო შემდეგ „900" რეკონსტრუირებულ დგანს. მისმა გაზრდილმა სიმძლავრემ შესაძლებელი გახადა ზეგეგმითი ფოლადის გადაქცევა სამილე ნამზადებად. ამავე დღეს ნამზადებისაგან გამოუშვეს მილები ნავთობის ჭაბურღილების ზელრმა ბურღვისათვის და კასპიის ზღვაზე და ტიუმენში გაგზავნეს. არაუწყებრივი კონტროლის სამსახურმა ეს პროდუქციაც მოიწონა.

ᲓᲘᲐᲮ, რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა 1987 წლის პირველი დღეები ხალისიანი, ენერგიული საქმიანობით აღნიშნა.

შრომაში დაწინაურდა მარტენის საამქროს მეფოლადე ალექსანდრე მელიავა. იგი კოლექტივში გამოირჩევა პროფესიული ოსტატობით. მისი ჩქაროსნულად ნადნობი ფოლადი მუდამ საუკეთესო ხარისხისაა. ახალგაზრდა მეფოლადის გადაწყვეტილებაა წლეულს უწინდა იმუშაოს და გეგმის გადაჭარბებით შეასრულოს ყოველი თვის სახელმწიფო დავალება.

სურათზე: მეფოლადე ალექსანდრე მელიავა.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

დამკვრელური ვახტი წლის პირველი დღიდან

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ჭანჭრობი წლითიწლობით „უთმობს" ადამიანებს თავის პოზიციებს. ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში მელიორატორებმა შარშან წლის დამდეგიდან სიცოცხლე დაუბრუნეს 3770 ჰექტარ ყოფილ ჭარბტენიან ნიადაგს. ახლა აქ აშენებენ ჩაის, სხვა სუბტროპიკული კულტურების ახალ პლანტაციებს. იქმნება საკვების ბაზრდის შრომის ნაყოფიერებას. ეს მაჩვენებელი აქ საგეგმოსთან შედარებით 5,1 პროცენტით გაიზარდა. ორჯონიკიძელებმა დიდი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები განახორციელეს პროდუქციის თვითღირებულების გასაიაფებლად. მაგალითად, თითოეული ტონა ქვანახშირი აქ 41 კაპიკით გაიაფდა. მარტო ამ გზით დაახლოებით 118 ათასი მანეთი დაიზოგა.

ამ გამარჯვებას განსაკუთრებული ფვლილი შემატეს იმ საექსპლოატაციო უბნებმა, რომლებსაც მ. წულუკიძე, კ. კუბლაშვილი და ა. ერგეშლიძე უდგანან სათავეში. მოწინავე შახტმა 1986 წლის გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს და მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელიც იმედიანად დაიწყო. იანვრის პირველივე დღეს ნორმით გათვალისწინებულზე მეტი ქვანახშირი ამოიღო და მომხმარებელს გაუგზავნა.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ზა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

იქ, სადაც მეცნიერული მიღწევები დაუყოვნებლივ გამოიყენება პრაქტიკულად, — უთხრა საქინფორმს კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამერკაკავკასიის რეგიონალური განყოფილების თავმჯდომარემ, ამ აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ი. მეტრეველმა, — უნდა ვეღოდოთ მაღალ შედეგებს. ამის ნათელი მაგალითია ხობის რაიონი, რომელიც მელიორაციის დარგში პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პოლიგონად იქცა. აქ შემუშავებულია სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაში პარტნიორობის პრინციპით მონაწილეობს ოცამდე რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სასწავლო ცენტრი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ, მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" სპეციალისტები, რომლის ექსპერიმენტულ მეურნეობაში ხობის რაიონში ცდიან ახალ ტექნოლოგიებსა და ნამუშევრებს. გვახარებს პირველი მიღწევები: შარშან საშუალოდ რაიონში შვიდი პროცენტით გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. სეზონებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ, მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" სპეციალისტები, რომლის ექსპერიმენტულ მეურნეობაში ხობის რაიონში ცდიან ახალ ტექნოლოგიებსა და ნამუშევრებს. გვახარებს პირველი მიღწევები: შარშან საშუალოდ რაიონში შვიდი პროცენტით გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. სეწრების არასაკმარისი ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი მიზეზია სამელიორაციო სისტემების, განსაკუთრებით შიდასამეურნეო ქსელის არადამაკმაყოფილებელი ექსპლოატაცია. თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება დასაშრობი არხების, სატუმბი სადგურებისა და დახურული დრენაჟის სისტემების გამოყენება.

სულ სამელიორაციო სამუშაოთა დაწყებიდან დაშრობილია დაახლოებით ასი ათასი ჰექტარი, მაგრამ აქედან სამოცი პროცენტი ძირფესვიან რეკონსტრუქციას მოითხოვს. დაბლობის საერთო სამელიორაციო მდგომარეობის „გაჯანსაღებას" ემსახურება გადაუდებელი ღონისძიებანი. კერძოდ, უნდა გაფართოვდეს მთისძირა არხების ქსელი ნიღვრის წყლებისათვის გზის გადასაღობად.

ᲕᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲢᲐ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ). რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვიდაზე ადრე შეასრულეს სუბტროპიკული კულტურების გაშენების 1986 წლის დავალება. ჩაის პლანტაციებს შეემატა 20 ჰექტარი, ციტრუსს ბალებს — 42 ჰექტარი.

წარმატებით არის რეალიზებული ევკალიპტისა და ბამბუკის გაშენების წლიური გეგმები. სამხრეთული კულტურების გაშენების საქმეში აქტიურობენ ნაგომარის, ვაკიჯვრის, ძიმითის, ჭანეთის, შრომის, ნატანების, კონჭკათისა და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელები.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა 1986 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას და იმ ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელს.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პოზიტიური ძვრები მოხდა და იგი საერთოდ წარმატებთან ამთავრებს მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს—საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა, რევოლუციური მასშტაბის გარდაქმნათა დაწყების წელს.

ამასთან ერთად ზოგიერთი რესპუბლიკური სამინისტროს და უწყების მიზეზით გართულდა 1986 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების შესრულება.

ამ სიძნელეთა გადალახვა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა და მის გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივის მეცადინეობა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი თ. ი. უჩანეიშვილი, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ნ. გ. ვაშაძე, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ო. ნ. სულაძე, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაყაშვილი, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ღურწკაია, მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე, საქაგრომშენის თავმჯდომარე ი. ი. ხარატიშვილი, ვაჭრობის მინისტრი ა. ო. მოვსესიანი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი კ. თ. სალია.

მათ დამსწრეთ გააცნეს საქმის რეალური ვითარება, რომელიც სახალხო მეურნეობის მათდამი დაქვემდებარებულ დარგებში შეიქმნა, ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შეჯამა რა განხილვის შედეგები, ჯ. ი. პატიაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ყველას არ გამოუტანია სათანადო დასკვნები ხუთწლედის პირველი წლის განმავლობაში დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობიდან. გარდაქმნას რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ მიენიჭა საჭირო დინამიზმი. ასეთ მდგომარეობას ვერ შეეურიგდები. ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და 1986 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საბოლოო შედეგების მიხედვით უმკაცრესი, პრინციპული პარტიული შეფასება მიეცა რესპუბლიკის მთელი ხელმძღვანელი კადრების მუშაობას.

საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს შედეგების შეჯამების პრაქტიკა და ყურადღება მიექცეს ძირითადი პრობლემებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკის წინსვლის თვისებრივად ახალი მიჯნების დაძლევის ტემპს. საჭიროა გულდასმით მივადევნოთ თვალი, თუ როგორ მიმდინარეობს მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისება, სხვისი მოძველებობის ფსიქოლოგიის დაძლევა, ფართოდ გავშალოთ მუშაობა მართვის ყველა რგოლში სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის, დავასრულოთ საკადრო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების გზები, გავაძლიეროთ ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა ყველანაირ ღონისძიებათა განხორციელება, რათა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ მუშაობის სწრაფი და თანაბარზომიერი რიტმი. იმაზე, თუ როგორი იქნება დასაწყისი, როგორი შრომითი განწყობით შეუდგებიან რესპუბლიკის მშრომელები საქმეს, ბევრად იქნება დამოკიდებული მუშაობის ხასიათი მთელი წლის — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წლის განმავლობაში, როცა მოგველის მუშაობა არსებითად ახალ პირობებში, შეფასებათა ახალი კრიტერიუმების მიხედვით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ბ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. სეჯაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებების გამგეები. (საქინფორმი).

ერთგული შრომის სიკეთე

ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲐᲒᲨᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ 60, ᲮᲝᲚᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲐᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

პირველი ჯგუფური გაერთიანება, ანუ კოლექტიური მეურნეობა, იგონებს ვეტერანი კოლმეურნე პეტო ყოჩიაშვილი, ჩვენს სოფელში 1926 წელს შეიქმნა. მასში 11 ოჯახი გაერთიანდა. მისი ავლადიდება იყო 15 ჰექტარი მიწა, 10 ძროხა და ექვსი ხარი. დიახ, მასში პირველად ფეხარიბესი გლეხები გაერთიანდნენ. საკოლმეურნეო წყობილების პირველი ქომაგების გიორგი და ზაქარო ყოჩიაშვილების, მოსე, ზაქრო, ალექსი და გიორგი ბენაშვილების, გიგო ბოსტოღანაშვილის, გიორგი ყაჯიშვილის, დავით ნერსესოვისა და მიხაკა ოგანჯანოვის მხარდამხარ ერთგულმა, თავდადებულმა მუშაობამ მალე დაანახვა ხალხს კოლექტიური შრომის სიკეთე.

რას წარმოადგენდა იმ დროისათვის ჩვენი სოფელი? ტალახიანი ქუჩები, ვიწრო ორღობეები, მიწური გომები, ალიზით ნაგები და ჩალით დახურული ქოხმახები, არსად მაღაზია, არსად სკოლა, არსად სინათლე, ეს იყო და ეს. ოქტომბრის განთიადზე მიიღო სოფელმა ახალი ნათლობა. მას სახელოვანი რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის სახელი შეარქვეს. მანამდე კი ზაპოროჟეელი ემიგრანტი კაზაკებით დასახლებულ ამ ადგილს ერთ-ერთი მათი ატამანის გვარის პატივსაცემად სეჩენოვკა ეწოდებოდა.

ოცდაათიან წლებში კოლმეურნეობის გამგებლობაში იყო სამი ტრაქტორი, ორი კულტივატორი, ორი სატვირთო ავტომანქანა, ორი სათიბელი, რძის გადასამუშავებელი ორი სეპარატორი და სხვ.

1944 წელს კოლმეურნეობის ბედელში მარცვალი არ შესულა. მოსავალი ჯერ გვალვამ, შემდგომ მინდვრის მავნებლებმა გაანადგურეს, რადგან მუშახელი დააკლდა სოფელს. ომში ჩაება სოფლის 366 ვაჟკაცი, მათგან 251 აღარ დაბრუნებულა. მეზობელი კოლმეურნეობიდან 12 ტონა ქერი და სიმინდი ისესხეს, დაფქვეს და ხალხს გაუნაწილეს, ცოტა მეტი იმათ შეახვედრეს, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავდა. სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებს ორ-ორი კილოგრამი ზეთიც მიეცათ დამატებით.

ყველაფერი დრომ შთანთქა, ჯაფარიძეებმა თავდადებული, კეთილი და ერთგული შრომით დიდ მოჯინებს მიაღწიეს. ამ მძლავრ საოსფლო-სამეურნეო არტელს დღეს თავის გამგებლობაში აქვს: 9.000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მათ შორის სახნავია 3.642 ჰექტარი; 1.600 სული საქონელი, 3.700 ღორი, 7.200 ცხვარი, 733 ჰექტარი ვენახი, 78 სატვირთო ავტომანქანა, 80 ტრაქტორი და სხვა მანქანა-იარაღი; კოლმეურნეობაში ყველა დარგი — მემინდვრეობა, მეცხოველეობა და მევენახეობა რენტაბელურია. წლიური ფულადი შემოსავალი — ხუთ მილიონ მანეთს, ხოლო კოლმეურნეთა საშუალო დღიური ანაზღაურება 12 მანეთს შეადგენს. კოლმეურნეობას თანამედროვე სოფლისა და, შეიძლება ითქვას, ქალაქის ყველა სიკეთე აქვს.

ძნელია ჩამთვალო ყველა ის მეთოდი, საშუალება, რომლებითაც კოლმეურნეობამ მიაღწია პროდუქციის სიუხვეს, მისი თვითღირებულების შემცირებას. უმთავრესი კი მაინც შიდასამეურნეო ანგარიში და მანეთით კოტროლია. კოლმეურნეობის თავკაცი ნიკოლოზ ყოჩიაშვილი იტყვის ხოლმე, ყველა წარმატების სათავე საქმის ეფექტურობაა.

ამ კოლმეურნეობამ ერთ-ერთმა პირველმა დანერგა შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდი — ბრიგადული იჯარა, საბოლოო შედეგების მიხედვით შრომის ანაზღაურება. ამ მეთოდით მუშაობს კოლმეურნეობის ყველა საწარმოო ბრიგადა, ფერმა და ქვეგანაყოფი. ამ გზით აღწევენ საერეკოდან მაჩვენებლებს მემინდვრე-ბრიგადირი უშანგი ლეკაშვილი, სახელგანთქმული მეცხოველე, სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი, მევენახეები ზაქარია ყოჩიაშვილი და ბიძინა რობიტაშვილი...

კოლმეურნეობა ყოველწლიურად სახელმწიფოს ამარებს ათასობით ტონა მარცვლეულს, ხორცს, რძეს, ყურძენს, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს. ყველა ამ პროდუქტის დამზადების წლევანდელი დავალებანი ვადაზე ერთი თვით ადრე შესრულდა.

სოფლის საიუბილეო შეკრებაზე ითქვა ყოველივე ის, რასაც ჯაფარიძეებმა მიაღწიეს კოლექტიური შრომის შედეგად 60 წლის მანძილზე. ითქვა ისიც, რაც ჯერ გასაკეთებელია, რაც მომავალში კიდევ უფრო დაამშვენებს და აადორძინებს სოციალისტურ სოფელს. საქაგრომრეწვის თავმჯდომარემ, ამხანაგმა გ. მგელაძემ ზეიმის მონაწილეებს გააცნო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებული, რომლითაც წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა, მისი სახელოვანი მშრომელები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფო საგაგზავნო დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაჯილდოების 60 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებული არიან საპატიო სიგელით, მიეულოცა ეს ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატებანი.

ვლ. მᲔᲮᲔᲓᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ

ᲓᲚᲔᲒᲐᲜᲔᲚᲘ დღესვით ახსოვს შალვა კვმულარიას 1956 წლის 15 სექტემბერი. პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა თავაზიანად მიიწვია კაბინეტში, ჯერ ოჯახის ამბები გამოჰკითხა, შემდეგ საშუალო სკოლის ავკარგზეც ესაუბრა, სადაც დირექტორად მუშაობდა, — ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას უნდა ჩაუდგე სათაეფიო. ზარივით ჩაესმა ეს ხმა ყურში. არ ელოდა ამას ახალგაზრდა პედაგოგი. ყველაფერს იფიქრებდა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას კი არა. საოფლის ფილი ხარ, ცოცხა და ეხერგია არ გაკლია, დაეეხმარებით, მზარში ამოგიდგებითო, — გაოგნებული უსმენდა მდივნის რჩევა-დარიგებას და გონების თვალით ზომავდა მოსალოდნელ სიძნელეებს, პირველ შეხვედრას თანასოფლელებთან თავმჯდომარის რანგში.

მაშინ ღარიბი კოლმეურნეობა ვალებში იყო ჩაფლული. სეხნი სესხს ემატებოდა. შრომისუნარიანი მოსახლეობა სოფლიდან გარბოდა, დარჩენილებსაც გაქცევაზე ეჭირათ თვალი. რაიონის ცენტრიდან სიმორე, ეჯზომა, უსინათლობა, საშუალო სკოლის ᲣᲩᲝᲜᲚᲝᲑᲐ, ვინ მოთვლის, კიდევ რა გასაჭირი არ ადგათ სოფლის მშრომელებს.

ყველაფერი დაიწყო შრომის დისციპლინის განმტკიცებით. დისციპლინა გამარჯვების ქვაკუთხედიაო, იტყვის თავმჯდომარე და სანეზე უკეაყოფილება გამოეხატება, როცა ამ საკითხზე ზოგან დღესაც სერიოზული სკა-ბაასია. თუ დისციპლინა არ არის, წარმატებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მაგრამ საჭიროა არა შიშველი ადმინისტრირებული დისციპლინა, არამედ შეგნებული.

მოეგებაენობის დასაწყისში წინააღმდეგობა სერიოზული იყო, ძნელი გახდა გაქცევა ᲣᲩᲝᲜᲚᲝᲑᲐ. ასეთ პირობებში დეტალი არ დეფორმირდება, სხვის უშუალო მოქმედების არეს გარეთ პრაქტიკულად არ განიცდის ცვლილებებს. ამასთანავე ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება დიდი სიზუსტითა და სისწრაფით. ოპტიკური სისტემების გამოყენება კი საშუალებას იძლევა დამუშავდეს ისეთი ძნელად მისადგომი უბნები, რომელთა დამუშავება ტრადიციული მეთოდებით შეუძლებელია.

ლაზერული წრთობის შედეგად ლითონის ცვეთისადმი წინააღმდეგობა 2-ჯერ და მეტად ზრდება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლაზერის დაზხვების შედეგად ხურდება მხოლოდ დეტალის ზედაპირი. ეს საშუალებას იძლევა მივიღოთ სასურველი ზედაპირული ფენა მასალის ძირითადი ნაწილის თვისებების შეუცვლელად.

უნიკალური ტექნოლოგიური მახასიათებლების გარდა, ლაზერული დანადგარების ლითონგადამუშავებაში გამოყენების პერსპექტივა დაკავშირებულია მათ უნივერსალობასთან. ეს გამოიხატება გამოსხივების პარამეტრების ცვლილებების ხარჯზე სხვადასხვა ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობით. ზემოქმედების უკონტაქტო ხასიათი საშუალებას გვაძლევს ლაზერული დანადგარები ეფექტიანად შეეუხამოთ თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლითს მანქანებს. გამოვიყენოთ ისინი მოქნილ ავტომატიზებულ სისტემებში.

დეტალების ლაზერული თერმოდამუშავება რამდენიმე წელიწადია წარმატებით გამოიყენება ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანასა და საწარმოო გაერთიანება „ავტოზილში“. ამ უკანასკნელში, პირველად ჩვენს ქვეყანაში, საექსპლოატაციოდ გადაეცა დეტალების ლაზერული წრთობის ავტომატიზებული ხაზი.

სამამულო ელექტრონული მრეწველობის საწარმოებში ლაზერული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად რამდენჯერმე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება ცალკეული ოპერაციების შესრულებისას. 10-30 პროცენტით იმატა ვარგისი ხელსაწყოების გამოსავლიანობამაც.

საბჭოთა კავშირში ახლა უშვებენ სხვადასხვა მოდიფიკაციის ლაზერულ ჩარხებს, რომლებიც გამოიყენება ალმასისა და სხვა ზესალი ქვების დასამუშავებლად. ლაზერების გამოყენებას ამ სფეროში რამდენიმე პრინციპული უპირატესობა აქვს ტრადიციულ მექანიკურ მეთოდებთან შედარებით. ციფრულ-პროგრამული ლაზერული ჩარხები ფართოდ ინერგება საავიაციო მრეწველობაშიც.

ამასთან, ტექნოლოგიური დანიშნულების ლაზერული დანადგარები ჯერ კიდევ ჩამორჩება ტექნიკური დონით (საიმედოობა, სამუშაო რესურსი, კომპაქტურობა) საუკეთესო მსოფლიო ანალოგებს, რაც გარკვეულად აფერხებს მათ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში.

1985 წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის ტექნოლოგიური ლაზერების შექმნის შესახებ. კომპლექსის შემადგენლობაში შევიდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს დარგობრივი ინსტიტუტები და საწარმოები, მათ შორის თბილისის ელექტრომესადენი მოწყობილობის ქარხანა და საკავშირო ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ინსტიტუტის თბილისის განყოფილება.

ყოველწლიურად ფართოვდება ლაზერების გამოყენება კავშირგამგზავნობაში, რაც განპირობებულია ინფორმაციის გადაცემისათვის ოპტიკური ბოჭკოების გამოყენების სწრაფი განვითარებით. ოპტიკურ ბოჭკოში დაბალენერგეტიკული ნახევარგამტარული ლაზერის საშუალებით ხდება ელექტრონული სიგნალის გარდაქმნა სინათლის სიგნალად და მისი გადაცემა დიდ მანძილებზე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ელექტრული სიგნალისაგან განსხვავებით ოპტიკური სიგნალი არ განიცდის გარეშე ელექტრომაგნიტური ტალღების, ელექტრული თუ მაგნიტური ველების ზეგავლენას.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, უკვე პრაქტიკულად იყენებენ ოპტიკურ კავშირგამბმულობას (სატელეფონო კავშირი, ტელეხედვა და სხვა). ლაზერებს ეფექტიანად იყენებენ თანამედროვე ინფორმაციულ და გამოთვლით სისტემებში ინფორმაციის ჩაწერის, შენახვისა და გადამუშავებისათვის. ლაზერები საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების შესასრულებლადაც გამოიყენება.

ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲗ ᲘᲬᲠᲗᲝᲑᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲙᲕᲐᲜᲢᲣᲠᲘ ოპტიკური გენერატორის — ლაზერის შექმნის შემდეგ 25 წელი გავიდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის არც ერთი აღმოჩენა არ შემოჭრილა ისე სწრაფად ცხოვრებაში, როგორც ლაზერი, არაფერს მოუხდენია ისეთი დიდი ზეგავლენა მეცნიერების განვითარებაზე, როგორც მას.

60-70-იან წლებში ლაზერული ხელსაწყოების სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო მათ გამოყენებას ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, მედიცინისა და სხვა სამეცნიერო მიმართულებების კვლევაში. 70-იანი წლების დასაწყისში ლაზერმა ფეხი მოიკიდა სახალხო მეურნეობაშიც და, კერძოდ, მრეწველობაში. დღეს ძნელია დაასახელო ცხოვრების ისეთი სფერო, სადაც ლაზერი არ იყოს „დასაქმებული“. ფართოდ იყენებენ მას მანქანათმშენებლობაში, ელექტროტექნიკაში, კავშირგამბმულობაში, ინფორმატიკაში, მედიცინაში.

ლაზერის პროფესიათა ფართო დიაპაზონი განპირობებულია გამოსხივების უნიკალური თვისებებით — სინათლის უაღრესად მაღალი სპექტრალური სისუფთაეთი, ელექტრომაგნიტური ტალღების რხევის სინფაზურობით, სინათლის გავრცელების მკაცრად განსაზღვრული მიმართულებით, დროში და სივრცეში ენერგიის ნაკადის ძლიერი კონცენტრირების შესაძლებლობებით.

ლაზერის სხივის ფოკუსირება, ჩვეულებრივი თეთრი სინათლის სხივთან შედარებით, შეიძლება გაცილებით მცირე მოცულობაში. ამის შედეგად ფოკუსის არეში მიიღება ფანტასტიკური ენერგიის სიმკვრივე, რომლის ტემპერატურამ ასიათასობით გრადუსს შეიძლება მიაღწიოს. სწორედ გამოსხივების დიდი ინტენსიურობის სიკეთეა ის ფაქტი, რომ ლაზერს იყენებენ ლითონის საჭრელად, საბურღავად, შედუღებისთვის, თერმული წრთობისათვის, ზემაგარი მასალების დამუშავებისათვის.

ლითონების დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში ლაზერების გამოყენების უპირატესობა დაკავშირებულია ზემოქმედების ლოკალურობასა და მოკლე ფაზასთან. ასეთ პირობებში დეტალი არ დეფორმირდება, სხვის უშუალო მოქმედების არეს გარეთ პრაქტიკულად არ განიცდის ცვლილებებს. ამასთანავე ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება დიდი სიზუსტეს ფარგლებს, ვერ აღწევს მათი შედეგების პრაქტიკაში გამოყენებისათვის აუცილებელ ფაზას, ჯერჯერობით ჯერ არის ლაზერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული სამუშაოების კოორდინაცია. ცოტაა სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებენ ლაზერის გამოყენებას სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების დაფარვეყენებაში. გვაკლია თანამედროვე ტექნოლოგიური ლაზერებისა და მათი დანერგვა-მომსახურებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრები.

1985 წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ლაზერების გამოყენების დაჩქარების თაობაზე სპეციალური დადგენილება მიიღო.

დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების მონაწილეობით დაამუშავა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა მეთორმეტე ხუთწლედისათვის. პროგრამის დავალებათა შესრულებაში მონაწილეობს რესპუბლიკის 15 სამკურნალო და საწარმოო ორგანიზაცია. პროგრამა შოიცავს როგორც მნიშვნელოვან ფუნდამენტურ და გამოყენებითს გამოკვლევებს, ისე დანერგვითი ხასიათის სამუშაოებს.

კერძოდ, გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ლაზერების ათვისება თბილისის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის ბაზაზე, მძლავრი ტექნოლოგიური ლაზერების დანერგვა რესპუბლიკის რამდენიმე საწარმოში, ლაზერული ტექნიკის გამოყენება ელექტრონული მრეწველობის დარგში, ბოჭკოვანი კავშირგამბმულობის სისტემის დამუშავება და გამოყენება გამოთვლით მანქანებს შორის ინფორმაციის გაცვლის საჭიროებისათვის, ლაზერული სპექტროსკოპიის მეთოდების დამუშავება და დანერგვა წყლის სიუფთავის დისტანციური კონტროლისთვის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტიანი ლაზერული მეთოდების დამუშავება, სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვა და სხვა.

მომდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ლაზერების გამოყენების პერსპექტივები საგრძნობლად გაფართოვდა, თუმცა ჯერ კიდევ ცოტა ღონისძიებაა დაგეგმილი ტექნოლოგიური ლაზერების მანქანათმაშენებელი საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში დანერგვის მიმართულებით, რაც ძირითადად გამჭირობებელია რესპუბლიკაში შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-საინჟინრო ქვედანაყოფის უქონლობით.

არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მომზადებულია წინადადება ტექნოლოგიური ლაზერების რესპუბლიკური ცენტრის შექმნის შესახებ, რომელმაც საწარმოებთან მჭიდრო კავშირით უნდა უზრუნველყოს ლაზერული ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და წარმოებაში დანერგვა.

ამჟამად ცენტრის შექმნის საკითხს განიხილავს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და, „ფიქრობთ, მისი დროული გადაწყვეტა საგრძნობლად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ლაზერების გამოყენების კარდინალურ დაჩქარებას.

ᲓᲐᲕᲐᲩᲘᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ

დ. გაბუნია,
საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ფიზიკა-ტექნიკის პრობლემების განყოფილების უფროსი.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲕᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ძრავების შემკეთებელი ქარხანა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა.

საწარმოში რამდენიმე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხანამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ძრავების და ჩასაძირი ტუმბოების რემონტის გრაფიკს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: დიდნაყოფიერად შრომობს ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მეგრაგნილე ელვირა კოზაევა; ძრავას აწყობენ მოწინავე ამწყობი ელექტროშეინკლები ვიტალი ძუდცოვი და იური დოგუზოვი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები.

ლ. ᲒᲣᲡᲝᲕᲘᲡ ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲐᲗᲝᲕᲡ ᲒᲐᲚᲔᲑᲡ...

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ მიწაზე კარგა ხანია ფოთლები გასცვივდა ხეებს და ახლა ტოტებზე თეთრი, ქათქათა თოვლი ბზწინავს. ციივ ქარი დათარეშობს უკაცრიელ ბაღებში, მოიკრიფა, დაბინავდა მოსავალი, ჩამოდგა ქამი ფიქრისა და განსჯის, წლის მანძილზე გაწეული მუშაობის განალოზვის, სწავლისა და გამოცდილების დაგროვების, მომავალი სამეურნეო წლისთვის უკეთესად მომზადების პერიოდი.

კარგი გუნება-განწყობით შეხვდნენ 1987 წელს გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. იოლი საქმე როდია! პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა წლეულს ხუთი მილიონ 500 ათას მანეთს გადააჭარბა, მოგებამ კი — მილიონ 319 ათას მანეთს.

— ციფრები თუმცა მეტყველია, — ამბობს მეურნეობის დირექტორი ვახტანგ ბასილაშვილი, — ვფიქრობთ, ისინი მაინც ეკონომიკის პრიზმით უნდა გავაანალიზოთ.

ეკონომიკა მართლაც რომ საინტერესო პოლიტიკაა, იქ, სადაც მანეთი დაადანდე, ორი მანეთი თუ არ მიიღე, პერსპექტივას მოკლებული საქმე შეგრჩება ხელთ.

ახალი წლის დამდეგს კმაყოფილია მეურნეობის კოლექტივი: გაწეული ექვს წელიწადში მისი ფულადი შემოსავალი 900 ათასი მანეთით გაიზარდა, მოგებისა — 203 ათასი მანეთით.

წლების მანძილზე სტაბილური უხვმოსავლიანობა აქ უკვე აღარავის უკვირს. იმები ცხებებიც კი, როგორიც არის „მოსავლიანი“ და „არამოსავლიანი“ წელიწადი, „გვალვიანი ამინდები“ და სხვა მისთანანი ვარიანელებმა კარგა ხანია თავიანთი საქმიანობის ლექსიკონიდან განდევნეს. ეს ყასიდი ფრაზა არ გეგონოთ. აი ერთი პრაქტიკული მაგალითი: წლეულს ქართლში ზაფხული ისე მიილია, წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა ცოდან, დიდად გაუჭირდათ იმათ, ვისაც ურწყავში ეთესათ ერთწლოვანი კულტურები, მაგრამ გვალვამ ვერაფერი დააკლო ვარიანელთა ფართობებს. ამაუშავეს „მცირე მელიორაციაო“ — ადგილობრივი წყლების ბაზაზე შარშან აშენებული ხელოვნური წყალსაცავის სატუმბები და 500 ჰექტარ ფართობს წყალი არ მოჰკლებია.

—უთუოდ წარმატებული წელი იყო და მადლობითაც გავისტუმრეთ, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში ა. ქარელიშვილი, — 11.580 ტონა ხილი ვაწარმოეთ, საგაგმოზე თითქმის 2.000 ტონით მეტი, საქმე მარტო რაოდენობა როდია: წარმოებული ხილის თვითღირებულებაც შევამცირეთ.

აი რა მიაჩნიათ ვარიანელებს შარშანდელი გამრჯე შრომის დასტურად...

ათიოდე წლის წინათ კი ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი ხილი კარგ მოსავლად ითვლებოდა. 123 ცენტნერი ხილი მოიწიეს 1986 წელს საშუალოდ ჰექტარზე. მოდი და, მზიანი ᲒᲣᲯᲐᲠᲐᲢᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲮᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

დილით უღონო მზემ გამოიხედა თუ არა, ჩვეულებრივ მიეჯდა ტრაქტორის საჭეს კონსტანტინე ბავლიაშვილი და ხილის ბაღებში მინერალური სასუქების ახალი პარტია შეიტანა. კონსტანტინე ბავლიაშვილმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა, სულ ახლახანს ლენინის ორდენითაც დაამშვენა მკერდი.

აი მოწინავე მრწყველი, ლენინის ორდენოსანი სულიკო აბაზაშვილი, დიახაც, თვალსაჩინო წვლილი უდევს მას მეურნეობის შრომითა და წარმატებებში. № 2 საწარმოო ბრიგადამ, რომელსაც III და II ხარისხის შრომის დიდების ორდენების კავალერი შალვა ბატატაშვილი ხელმძღვანელობს, თითქმის ორმაგად შეასრულა ხილის დამზადების დავალება და სახელმწიფოს 705 ტონა ხილი მიჰყიდა, ახალგაზრდა ბრიგადირის ელგუჯა სახვაძის ხუთმა ბრიგადამ 1093 ტონა მოიკრიფა, დავალება კი 765 ტონას ითვალისწინებდა. კვლავინდებურად აქაური ახალგაზრდების აღიარებულ დამრიგებლად რჩება მეურნეობის ვეტერანი მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ეკატერინე თვალიაშვილი.

ის ფაქტი, რომ შარშან საშუალოდ მეურნეობის ერთმა მუშამ 203 კაცდღე გამოიმუშავა, დამრიგებლური მოძრაობის, შრომისადმი კეთილშობილური დამოკიდებულების მაგალითად გამოდგებოდა.

გადაჭარბებით შესრულდა ბოსტნეულის დამზადების, სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის დავალებები.

მტკიცე შრომის დისციპლინა, შეხამებული თითოეულის პერსონალურ პასუხისმგებლობასთან — აი, რას მიიჩნევენ ვარიანელები აღმასვლის აუცილებელ საზომად.

• • •

განვლილ წელს განსაკუთრებული მადლიერებით მოიგონებენ ახალმოსახლეები, რომლებიც ეს-ეს არის მეურნეობის მიერ აშენებულ კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდნენ.

— კეთილ ორი თერმეტბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას დავამთავრებთ 1987 წელს, — ამბობს შემდეგ ვახტანგ ბასილაშვილი, — და, საერთოდ, სამომავლოდაც ბევრი რამ გვაქვს ჩაფიქრებული, ახალდაბაში სპბაგშვო ბაღის მშენებლობას მოვრჩებით, ვარიანში — ამბულატორიისას, საქაშეში საშუალო სკოლა აშენდება, დაწყებულია მეურნეობაში შემავალ სოფლებში ბუნებრივი გაზის გაყვანის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

დირექტორი საქმიანად ლაპარაკობს მეურნეობის მერმისზე, მის ეკონომიკაზე, სოფლის ხვალინდელ დღეზე, ფანჯრიდან მოჩანს დათოვლილი ბაღები, სადაც ტრაქტორები გუგუნებენ....

გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ რევოლუციის ეპოქაში მნიშვნელოვნად იზრდება ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის როლი. ახლა ის მოწოდებულია არა მხოლოდ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების მოსაგვარებლადაც. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილება დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჯანდაცვის დაწესებულებათა საქმიანობაზეა დამოკიდებული.

მოსახლეობის მატებაზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი პირველია უშვილო ქორწინება. ცნობილია, რომ რეგისტრირებულ წყვილთა 10-15 პროცენტს უშვილობა შეადგენენ, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება უშვილობის მკურნალობას, პროფილაქტიკას და დიაგნოსტიკას.

ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობაც ისას ისახავს მიზნად, რომ დანერგოს რესპუბლიკაში უნაყოფობის პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ამ უკანასკნელ ხანს გახსნილი რეპროდუქტოლოგიური კაბინეტები, რომლებსაც სამეცნიერო-მეთოდიკურ ხელმძღვანელობას ინსტიტუტი უწევს.

რეპროდუქტოლოგიური კაბინეტები სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამეცნიერო-საკონსულტაციო მუშაობას ეწევიან. მათ გამოცდილი გინეკოლოგი ექიმი ხელმძღვანელობს, რომელიც კარგად ფლობს უშვილოთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. მამაკაცთა უშვილობას უროლოგი მკურნალობს, რომელიც ანდროლოგიაშია მომზადებული. ავადმყოფთა ნაწილს რეპროდუქტოლოგიური კაბინეტები „საჰოსპიტალიზაციოდ“ ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში გვიგზავნიან.

რეპროდუქტოლოგიური კაბინეტების შექმნა პირველი ცდაა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საერთოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში. და თუ გაამართლებს, ჩვენი გამოცდილება, შეიძლება მთელი ჯანდაცვის სისტემის მონაპოვრად იქცეს. ეს კი, ცხადია, ძალზე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ უკვე გვაქვს პირველი დამაიმედებელი შედეგები: ახლად გახსნილ რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტებში ნამკურნალევი ბევრი უშვილო წყვილი დღეს უკვე ბედნიერი მშობლები არიან.

ლ. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ,
ი. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ �გᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚ-ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

**ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ,

ᲥᲝᲜᲘᲡᲢᲘᲣᲢᲘ
ფაქტები • მოვლენები

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ დაისტამბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერიდან ყოველდღიური გაზეთის „სტროიტელნაია გაზეთას“ პირველი ნომერი.

საბჭოთა მშენებლების მასობრივი გაზეთი თავის ისტორიას იწყებს 1924 წლის აპრილიდან, როცა გაზეთ „პოსტროიკას“ პირველი ნომერი გამოვიდა, — უთხრა საკავშირო კორესპონდენტს გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ლ. შაროვმა. — ამას უამბობენ რედაქციის ჟურნალისტები დღევანდელ მკითხველს მასალაში „დროისა და საკუთარი თავის შესახებ“. ამ მასალის წყარო გახდა შორეული წლების პუბლიკაციები. სარედაქციო სტატია, რომელს სათაურად გამოტანილია დაჩქარების ლენინური ფორმულა — „უაღრესად ენერგიულად!“, შეიცავს მმართველ გაზეთის მკითხველებისადმი, განსაზღვრავს მის ამოცანებს კაპიტალური მშენებლობის ძირეული გაუმჯობესების, დარგის, მთლიანად სამშენებლო კომპლექსის საშეურნეო შექანიზმისა და საწარმოო ურთიერთობის სრულყოფის საქმეში.

რედაქციას განზრახული აქვს გააძლიეროს მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების გაშუქება, მის ფურცლებზე უფრო ნათლად აისახება კომუნისტების ავანგარდული როლი სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, ფარფოდ წარმოჩნდება სამშენებლო წარმოებისა და საშენ მასალათა მრეწველობის მოწინავეების, ნოვატორების, უნარიანი ორგანიზატორების გამოცდილება.

პირველ ნომერში რედაქციამ გაზეთის ახალი რუბრიკები და თემატური განყოფილებები წარმოადგინა. ნომრის წამყვანი თემა მუშების, სპეციალისტების, შრომითი კოლექტივების მონაწილეობა დარგის გარდაქმნაში, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

გრძელდება „სტროიტელნაია გაზეთას“ დამატების „არხიტექტურას“ გამოცემა.

(ᲩᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘ

▼▼

კურორტ ბიშვინთაში ახალ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში შესახლდნენ საახალწლოდ დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდა სპეციალისტები და ის მოქალაქენი, რომლებიც წინათ მოუწყობელ ბინებში ცხოვრობდნენ.

▼▼

რსფსუბლიკის სოფლის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს საახალწლოდ — ლიკანში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ნაძენარით დაფარულ ფერდობზე აღიმართა „საქკოლჯანმრთელობის“ სანატორიუმის „ბორჯომის“ დიდებული შვიდსართულიანი შენობა.

სანატორიუმი, რომელიც ერთდროულად 250 დამსვენებელს მიიღებს, აღჭურვილია სამამულო და უცხოური წარმოების სამკურნალო და გამჯანსაღებელი სამედიცინო აპარატურითა და ხელსაწყო-დანადგარებით.

დამსვენებელთა განკარგულებაშია საცურაო აუზი, ტალახისა და წყაღქვეშა მასაჟის აბაზანები, რენტგენისა და ფიზიოსამკურნალო კაბინეტები.

სანატორიუმი დაამშვენა მოზაიკურმა პანომ, გემოვნებით მოხატულმა კინო-საკონცერტო დარბაზმა, სასადილომ.

▼▼

მიხეილ გელოვანი კინემატოგრაფში 1924 წელს მოვიდა თეატრალური სამყაროდან. მაყურებელმა იგი გაიცნო ფილმებით „სამი სიცოცხლე“ (რეჟისორი პერსტიანი), „ორი მონადირე““ (რეჟისორი ა. ნუნუნავა) და „ნახვამდის“ (რეჟისორი გ. მაკაროვი). შემდეგ მსახიობმა რეჟისორობასაც მიჰყო ხელი და შექმნა ფილმები: „ახალგაზრდობა მარჯვენა“, „დამკვრელები“ და „ნამდვილი კავკასიელი“. სწორედ ეს ბოლო ფილმი აღდგენა ახლახანს ქართველ კინემატოგრაფისტთა ჯგუფმა გიორგი დოღიძის ხელმძღვანელობით.

ასე რომ, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის laureატის მ. გელოვანის კინოკომედია „ნამდვილი კავკასიელი“ 55 წლის შემდეგ ხელახლა იწყებს ეკრანულ სიცოცხლეს.

▼▼

ტყიბულის № 19 პროფტექნიკური სასწავლებელი ერთ-ერთი უძველესია ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ სასწავლებლის ბაზა ვერა და ვერ აკმაყოფილებდა სადღესაოდ მოთხოვნებს.

ამიტომაც გადაწყდა ქალაქის შემოსასვლელში, უღამაზეს ნაძვნარში, ახალი პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსის აგება, რასაც ხელი მოჰკიდა „ტყიბულშახტმშენის“ სამართველოს კოლექტივმა.

სამშენებლო მოედანზე უკვე წამოიმართა სამსართულიანი სასწავლო კორპუსი, 318-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი და სასწავლო სახელოსნო.





ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲮᲝᲡᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

28 ᲬᲚᲘᲡ გავიდა მას შემდეგ, რაც 82 ახალგაზრდა რევოლუციონერი ფიდელ კასტროს მეთაურობით კუბაზე გადასხდა, რათა სათავეში ჩასდგომოდნენ კუბელი ხალხის ბრძოლას ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ. პირველივე ბრძოლის შემდეგ ახალგაზრდა რევოლუციონერთა რიგებში შვიდი მებრძოლი დარჩა და ბატისტას რეჟიმი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ მოხდა სასწაული — შვიდი ახალგაზრდა სათავეში ჩაუდგა კუბელი ხალხის ბრძოლას და ეს ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებით დასრულდა. ამჟამად პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე წარმატებით იღვწის სოციალისტური კუბისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებულ ტურისტულ ჯგუფს, რომელიც ძირითადად რესპუბლიკის ინფორმაციის საშუალებათა მუშაკნით იყო დაკომპლექტებული, კუბის დათვალიერებასთან ერთად საპატიო მისიაც ჰქონდა დაკისრებული — კუბელი მშრომელებისათვის გაეცნო ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის მიღწევები, ის ახალი მიჯნები, რომლებიც XXVII კონგრესმა დასახა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ჩვენი მოგზაურობის მარშრუტიც ამგვარად იყო დაგეგმილი, რომ თავისუფლების კუნძულის რაც შეიძლება მეტი ქალაქი, საწარმოო-დაწესებულება თუ სამრეწველო ობიექტი დაგვეთვალიერებინა, კუბელ მშრომელებთან უშუალო კონტაქტების საშუალებით გავცნობოდით მათ ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობას.

ჩვენი მოგზაურობა კუბის რესპუბლიკის ცხოვრებაში ორ, მეტად მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა — დამთავრდა დეპუტატთა არჩევნები კუბის პარლამენტში — სახალხო ხელისუფლების ეროვნულ ასამბლეაში და საზეიმოდ დაიხურა კუბის კომუნისტური პარტიის III ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა პარტიის პროგრამა. ჩვენმა შეხვედრებმა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებთან, კუბელ მშრომელებთან, ცხადყო თუ როგორი ენთუზიაზმითა და შრომითი აღმაფრენით შეხვდა კუბელი ხალხი პარტიის მიერ დასახულ ამოცანას: მიმდინარე საუკუნის ბოლოსათვის დასრულდეს კუბაში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. აღსანიშნავია, რომ თავისი არსებობის არც თუ დიდი ხნის ისტორიაში სოციალისტურმა კუბამ უკვე მიაღწია შთამბეჭდავ წარმატებებს, რომელთა შესახებაც დაწვრილებით გვესაუბრა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიონელ სოტო. მან ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური კუბა ამჟამად ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც დაზღვეულია კრიზისებისაგან. 1981-1985 წლებში რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 32 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი ერთსულ მოსახლეზე გათვალისწინებით—25 პროცენტით. რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმოში წარმატებით მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის სისტემა, იზრდება მოსავლიანობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, კუბელი ხალხი რეალურად აფასებს იმ სიძნელეებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინაშე დგას. კუბელი კომუნისტების ყრილობამ კიდევ ერთხელ მოუწოდა რესპუბლიკის მშრომელებს ცხოვრების წესად აქციონ საჯაროობა და გულახდილობა თვით ყველაზე მწვავე პრობლემების განხილვის დროსაც. ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული „ღონისძიებების გეგმა სახალხო მეურნეობის მართვის სისტემაში ადმინისტრაციული დარღვევების, შეცდომების და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით“. ჩვენმა შეხვედრებმა კუბის მუშათა კლასის, გლეხობისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან დაგვანახა, რომ კუბელი ხალხი მიესალმება და მხარს უჭერს ყრილობის გადაწყვეტილებებს, მზად არის საქმით უპასუხოს მათ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კუბელი მშრომელების დაინტერესება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, ჩვენი პარტიის მიერ დასახული დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიით. ამ საკითხებზე ხანგრძლივი და შინაარსიანი საუბარი გვქონდა კუბელი მშრომელების წარმომადგენლებთან ჰავანის კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში, მეგობრულ შეხვედრაზე პლაია ხირონში. ჩვენი ჯგუფის წევრებიც ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ კუბელთა ინტერესები — უფრო ახლოს გაეცნოთ მათთვის ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის მიღწევები, გულახდილად ესაუბრათ მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

როდესაც კუბის წინაშე მდგარ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ პირობები, რომელშიც ახალგაზრდა რესპუბლიკამ სოციალისტური საზოგადოების შენება დაიწყო. ჩამორჩენილმა აგრარულმა ქვეყანამ აშშ-სა და დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან მომდინარე პოლიტიკური შანტაჟისა და ხშირად პირდაპირი სამხედრო პროვოკაციების, ეკონომიკური ბლოკადის პირობებში მიზნად დაისახა გამხდარიყო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო. თუ როგორ შესძლო მან ეს — ამ კითხვაზე ამჟამად ყველა კუბელი ასე გიპასუხებს — მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოსთან და სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების განვითარების წყალობით. სწორედ სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარებამ შეუწყო ხელი ახალგაზრდა რესპუბლიკას საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაში. ამჟამად კუბას დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვს მსოფლიოს 120 სახელმწიფოსთან, მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიური მონაწილეა და მტკიცედ უჭერს მხარს ლათინური ამერიკის ქვეყნების ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და სამართლიანი საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისათვის. მექსიკის გაზეთ „ექსელსიორისადმი“ მიცემულ ინტერვიუში კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კუბის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფ. კასტრომ განაცხადა: „ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც მესამე სამყაროს განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს, თავისი პრობლემების უმრავლესობა გადაჭრა არა მხოლოდ სოციალისტური გარდაქმნების, არამედ სოციალისტურ თანამეგობრობასთან ერთგვარი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების გზით. ამგვარი საფუძველის გარეშე ჩვენი ეკონომიკური და სოციალური მიღწევები, წარმატებები ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სპორტის დარგში, ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა“.

როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში მექსიკელმა ჟურნალისტმა რეხინო დისმა ფიდელ კასტროს ჰკითხა თუ როგორ ახერხებს რევოლუციური კუბა წინ აღუდგეს აშშ-სა და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას, კასტრომ უპასუხა: „ჩვენ ვიცით რა შეგვიძლია და რა არა. ჩვენი ხალხის მამაცობა გვაძლევს ამის საფუძველს. ნუ დაგავიწყდებათ რევოლუცია ჩვენთვის არავის უჩუქებია, ჩვენ იგი მძიმე და ხანგრძლივ ბრძოლებში გამოვიკრიფეთ და ჩვენი რევოლუციის მდიდარი ტრადიციები შემდგომი წარმატებების საწინდარია“. ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს, როდესაც საკუთარი თვალით ხედავ თუ როგორ სცემენ პატივს თავისუფლების კუნძულზე კუბის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელების ხ. მარტის, ა. მასეოს, კ. სიენფუეგოსის, ე. ჩეგევარას და სხვების ხსოვნას, როგორ სათუთად უვლიან კუბის გმირულ რევოლუციურ წარსულთან დაკავშირებულ ყველა ისტორიულ ძეგლს, მონკადას ლეგენდარული ყაზარმები იქნება ეს, სიერა-მაესტრას მთების ძირში მდგარი პატარა სახლი, საიდანაც ახალგაზრდა რევოლუციონერებმა თავიანთი ლეგენდარული ლაშქრობა დაიწყეს, თუ პლაია-ხირონის ისტორიული ადგილები, ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს კუბელი ხალხის მტკიცე რწმენას — დაიცვან რევოლუციის მონაპოვარი.

ჩვენმა შეხვედრებმა კუბის რესპუბლიკაში დაგვარწმუნა იმაშიც, რომ კუბელი ხალხი დაინტერესებულია კონტაქტების გაღრმავებით საბჭოთა კავშირთან, ჩვენს რესპუბლიკასთან. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ ისინი იმ ქართველ სპეციალისტებზე, ვინც დახმარებას უწევს ახალგაზრდა რესპუბლიკას სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ჩვენი ჯგუფის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ ქართველ გეოლოგებთან, მეტალურგებთან და მეზღვაურებთან. კუბასა და ჩვენს რესპუბლიკას შორის კონტაქტების შემდგომი გაღრმავების შესახებ ილაპარაკა ჩვენთან შეხვედრის დროს ამხანაგმა ლ. სოტომაც, რომელიც წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირში კუბის ელჩი იყო და სიამოვნებით იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს.

თავისუფლების კუნძულზე ყოფნის ოცმა დღემ უცვლ გაირბინა. ვემშვიდობებოდით სტუმართმოყვარე კუბას და გვჯერა, რომ ინტერნაციონალური მეგობრობის ხიდმა მტკიცედ დაუკავშირა ერთმანეთს დედამიწის სხვადასხვა ნახევარსფეროში მდებარე ჩვენი ქვეყნები.

Ჯ. ᲔᲚᲔᲜᲢᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ჰავანა; გეოლოგები სესუს ერნანდესი, დალია დარიო, ნოდარ ძოწენიძე და ვლადიმერ შენგელია ერთობლივი მუშაობის დროს; ეროვნული გმირის ხოსე მარტის პანთეონში.

Ა. ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ახალი წლის პირველ დღეს აქ დიდი სადღესასწაულო კონცერტით გაიხსნა ბერლინის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელიც წელს აღინიშნება. კონცერტს დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ამ იუბილეს დღესასწაულობა დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა გახდება არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაშიც.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ბერლინი ახალგაზრდადგება. ქალაქი ახლა სამშენებლო მოედნად იქცა. იქმნება ახალი საცხოვრებელი უბნები, შენდება თანამედროვე ნაგებობები, ახლდება და რეკონსტრუირდება ძველი სახლები, იგება სკოლები, სპორტული დარბაზები, აუზები, მაღაზიები. ბოლო 15 წელიწადში საბინაო პირობები გაიუმჯობესა ბერლინელთა ნახევარზე მეტმა. დაძაბულად შრომობს ახლა დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების 600-ზე მეტი მუშაკი, რომლებიც მხატვრულად აფორმებენ ბერლინს იუბილესთან დაკავშირებით.

დღევანდელი ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო ცენტრია. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი ბერლინის ელექტროქიმიური და ელექტრონული მანქანათსაშენებელი, ქიმიური, მსუბუქი მრეწველობის კომბინატებისა და საწარმოების პროდუქცია. დედაქალაქის ბევრი საწარმოო კოლექტივი იმათ პირველ რიგებში მიაბიჯებს, ვინც ეფექტიანად უხამებს სოციალიზმის უპირატესობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

ᲩᲘᲚᲔᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ 65 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

ᲒᲣᲐᲢᲔᲛᲐᲚᲐ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ღრმა იატაკქვეშეთისა და პინოჩეტის დიქტატურის განუწყვეტელი რეპრესიების პირობებში აღნიშნა 2 იანვარს ჩილეს კომპარტიამ თავისი 65 წლისთავი. სასტიკი დევნის მიუხედავად, რასაც კომპარტია 1973 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ განიცდის, იგი რჩება მასების განწყობილების გამომხატველად, ანტიდიქტატორული გამოსვლების სულისჩამდგმელად.

ჩილელი კომუნისტები ღირსშესანიშნავ თარიღს ხვდებიან თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლის გაქტიურებით, განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩილეს კომპარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჩილეს მემარცხენე ძალების კოალიციის — სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობის წევრმა პატრისიო ალესმა. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეს კომუნისტები და სხვა მემარცხენე ძალები დიდ როლს ასრულებენ დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლების გაერთიანებისა და მასების მობილიზაციის პროცესში. ისინი აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით მოიპოვონ ქვეყანას დემოკრატიული მომავალი პინოჩეტის დამხობის შედეგ. ამას ადასტურებს, კერძოდ, სანტიაგოში დეკემბრის დამლევს გამართული ჩილეს 11 მემარცხენე პარტიისა და მოძრაობის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლებმაც განიხილეს თავიანთი ძალების შეკავშირებისა და დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ნამდვილი დემოკრატიის აღდგენისათვის ერთობლივი მოქმედების ღონისძიებები.

65 წლისთავის დღეს, ხაზგასმით აღნიშნა პ. ალესმა, ჩილეს კომპარტია, ჩილეს მთელი ოპოზიციური ძალები, ხალხს ერთიანობისათვის და საძულველი დიქტატურის წინააღმდეგ გამოსვლათა გააქტიურებისათვის მოუწოდებენ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ

...ᲬᲘᲜ ᲯᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲘᲐ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ

ᲖᲝᲒᲡ როდის უწყობს გამოცდას ცხოვრება, ზოგს — როდის, ზოგს ადრე, ზოგს — უკვე მოწიფულობისას.

ვახტანგ გოცირიძემ ცხოვრებაში რიგიანად შესვლა ვერც მოასწრო, სერიოზული გამოცდის წინაშე რომ დადგა. საფალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოხვედრილის და მისი მომავალი თანამოკალეები ერთ-ერთ ნაწილში მიჰყავდათ, ირგვლივ თითქოს მეშვიდე იყო, ნიფათი არსაიდან ჩანდა, უეცრად ხედავენ — მათ წინ მომავალ მანქანას, რომელშიც საბჭოთა ჯარისკაცები ისხდნენ, აგრეთვე სუფთათით და საბრძოლო იარაღით იყო დატვირთული, თავს დაესხნენ.

უკვე მერე, როცა ნელ-ნელა გამოიწრთო და ნამდვილ ჯარისკაცად იქცა, დაინახა, რომ ამგვარ „სიუპრიზს“ არცთუ იშვიათად აწყობდნენ რევოლუციის მტრები, და ყოველთვის მზად იყო კიდეც სიძნელესთან შესახვედრად. მაგრამ იმ პირველი შემთხვევის დროს, ჯერ ნაწილში არმიასული პროფტექნიკური სასწავლებლის გუშინდელი მოსწავლე საბრძოლო შეტაკებაში რომ აღმოჩნდა, ალბათ, უნდა დაბნეულიყო, გონის მოკრეფა გაძნელებოდა. არა, ასეთ დროს დაბნევის არც დრო გვაქვს, არც უფლება — ასე ფიქრობს ახლა, მაშინ არაფერზე უფიქრია, არც დაბნეულა, სადღაც გაჭრა შიშის გრძნობაც. მოახვდურები უკუაგდეს, მანქანაში ბყოფთ დაეხმარნენ. ეს მისი და მისი მეგობრების საბრძოლო ნათლობა იყო. მაშინ შეაქეს, მის შემდეგაც არაერთხელ დაუმსახურებია მადლობა. მერე დაიმსახურა მედალიც „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

რა მისცა იმ ორი წლის მკაცრმა გაკვეთილებმა? სამშობლოს სიყვარული გაუძლიერდა? ეს არც მანამდე აკლდა (ეს კი იყო, საქართველო, შშობლიური თბილისი ენატრებოდა ძალუმად), მშვიდობიანი ცის ფასი უფრო მძაფრად შეიგრძნო? ალბათ!

და კიდევ: შეგობრობა ისწავლა. არ უნდა ვთქვა მეგობრობას ცოდნა, სწავლა? უნდა. გატანის, თანადგომის უნარს გამომუშავება, განმტკიცება სჭირდება, სიძნელეში ამ გაძნიბებს რომ შეინსისტლხორცება, მერე მთელი ცხოვრება გაგვყვება.

რომელმე თანაპოლკელი რომ დაიჭრებოდა და სისხლი იყო საჭირო, პირველი ის გაიწვდიდა ხელს, ის და მისი რუსთაველი მეგობარი გოჩა ხუციშვილი. იქ ყველას თანაბრად ელოდა განსაცდელი, რომელს როდის დასჭირდებოდა თანადგომა, არავინ იცოდა. ამიტომ ისწავლეს ბიჭებმა სიძნელისას მხარში ამოდგომა.

მაინც სწრაფად გაირბინა ორმა წელიწადმა, მონატრებულ ქალაქს, ოჯახს დაუბრუნდა ვახტანგი, წიგნებს ჩაუჯდა. ხო, კიდევ საქმისადმი მიდგომა ისწავლა იქ, მისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ჩამოსვლის უმალ გამოადგა ის თვისება, პირველივე წელს ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, სწავლობს.

Გ. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

მ. ბ. ღვინჯილია დაიბადა 1915 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოში, გლეხის ოჯახში. 1932 წელს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პედაგოგად. 1937 წელს დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი. მუშაობდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, აგრონომად. შემდეგ იგი გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, იქიდან კი საქართველოს სსრ მოწესაკომის უფროს აგრონომად. 1946 წელს მ. ღვინჯილია დაინიშნა საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სამმართველოს უფროსად.

1950 წლიდან მ. ბ. ღვინჯილია ჯერ „საქჩაიმეურნეობის“ ტრესტის მმართველია, შემდეგ კი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე. 1955 წელს მას იარჩევენ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად. 1959-1963 წლებში მ. ღვინჯილია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრია. 1963 წლიდან მუშაობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1965 წლიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრია. 1970 წელს მას ნიშნავენ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრად.

1974 წლიდან მ. ღვინჯილია საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია, 1982 წლიდან გარდაცვალებამდე სათავეში ედგა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავს“.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ღვინჯილია რამდენიმე საინტერესო სამეცნიერო შრომის ავტორი იყო.

ფასდაუდებელია მ. ღვინჯილიას დამსახურება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. მან თავი გამოიჩინა, როგორც საკოლმეურნეო საქმის ჩინებულმა მცოდნემ, ნიჭიერმა ორგანიზატორმა და უნარიანმა ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა კადრების საუკეთესო აღმზრდელმა. დაკისრებული მოვალეობისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობამ, საქმის უსაზღვრო ერთგულებამ, რომელიც. შერწყმულია ოჯახურ კეთილშობილებასთან, გულწრფელობასთან, სიკეთესთან და თავმდაბლობასთან, მ. ღვინჯილიას საზოგადოებაში პატივისცემა და ავტორიტეტი მოუხვეჭა.

მ. ბ. ღვინჯილია არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს მ. ღვინჯილიას დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, საბჭოთა კავშირის სხვა ორდენებითა და მედლებით.

კომუნისტის, ხელმძღვანელის, ჩინებული სპეციალისტისა და მოქალაქის მ. ბ. ღვინჯილიას ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს საზოგადოებაში.

ᲯᲐᲠᲒᲐᲚᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ — **Ჯ. Ი. ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. Ა. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲐ. Გ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲜ. Გ. ᲓᲐᲕᲘᲫᲘᲫᲘ, ᲛᲐ. Გ. ᲖᲐᲠᲐᲫᲘᲫᲔ, ᲛᲐ. ᲔᲓ. ᲩᲘᲠᲙᲘᲜᲘᲫᲔ, ᲛᲐ. Გ. ᲛᲔᲛᲐᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Მ. Ი. ᲧᲘᲚᲐᲣᲠᲘ, Რ. Გ. ᲞᲘᲗᲘᲐᲜᲐᲕᲐ, Რ. Გ. ᲛᲔᲛᲐᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Მ. Ი. ᲧᲘᲚᲐᲣᲠᲘ, Რ. Ჯ. ᲙᲝᲪᲘᲔᲚᲘᲫᲘ, Ლ. Ა. ᲦᲣᲠᲬᲯᲐᲜᲘᲐ, Რ. Დ. ᲨᲐᲜᲪᲮᲐᲕᲐ, Გ. Ი. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ, Გ. Ლ. ᲯᲘᲫᲘᲐ.**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ

ᲑᲐᲠᲓᲐᲜᲘᲪᲕᲐᲚᲐ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორი, სკკპ წევრი 1

გელით, ძვირფასო მეგობრებო!

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებმა მანანა კვირკველიამ და მზია მჭედლიშვილმა გადაწყვიტეს აზერბაიჯანის სსრ კახეთის რაიონის სოფელ ალიბეგლოში წასვლა თავიანთი საკურსო სპექტაკლის დასადგმელად. ერთმა აირჩია რაფიელ ერისთავის ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ხოლო მეორემ — ირმილ სულკავაურის „სალამურას თავგადასავალი“. მსახიობებად იქცნენ კახის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ასე დაიწყო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისა და სოფელ ალიბეგლოს ახალგაზრდების მეგობრობა.

გავიდა რამდენიმე წელი და ამ კარგ ინიციატივას მიბაძა სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტმა ანზორ დოლენჯაშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ მესამე კურსზე გამოამეღადავნა ნორჩ ინგილოებისადმი ინტერესი. მან მოსწავლეებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი წავიდა ალიბეგლოში და მალე კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა სახალხო თეატრი. ამ თეატრში დადგა მან ა. გეწაძის ორი პიესა — „წმინდანები ჯოხეთში“ და „შუაზე გაყოფილი ცრემლი“, გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, დ. აწყურელის „ბერბიჭები“, მოაწყო ქართული სიმღერის საღამო, ლიტერატურული კომპოზიცია „ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე“ და სხვა. უკვე ხუთი წელიწადია თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად ჩადიან ალიბეგლოში, აწყობენ იქ შეხვედრებსა და კონცერტებს.

და აი, ამას წინათ გაიმართა შეხვედრა თეატრალურ ინსტიტუტში. სასწავლო თეატრში ანზორ დოლენჯაშვილმა წარმოადგინა ორი ახალი ნამუშევარი — ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“ და მინიატიურების საღამო.

სწორედ ამ ორ სცენურ ნაწარმოებზე გადაწყვეტე დამეწერა წერილი. ეს სურვილი დამებადა საკუთარი ლოგიკურად და ბუნებრივად — ორივე დადგმამ გამიტაცა, ორივეს ვუყურებდი დიდი ინტერესით და კეთილი თვალით. ვეძებდი მათში იმ მთავარს, ურომლისოდაც არ არსებობს არავითარი თეატრი, იქნება ეს პროფესიული თუ სახალხო, დრამატული წრე თუ თვითმოქმედების სხვა ფორმა. მთავარია იგი შეიცავდეს სცენურ სიმართლეს, ცხოვრებისეულ შესრულებას.

„თავისუფალ თემაზე“ მუშაობის დროს რეჟისორმა მთელი ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად პრობლემაზე, რომლითაც დრამატურგი გამოხატავს ახალგაზრდა ადამიანის მორალურ პრინციპულობას, მის უკომპრომისობას, თუ გნებავთ, ვაჟკაცობას. თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის დასამტკიცებლად, მის დასამკვიდრებლად ა. დოლენჯაშვილმა გამოიყენა თავისებური სცენური ხერხი. სპექტაკლის მსვლელობაში, როგორც პოეტური რეფრენი, როგორც გმირის ხილვა, ზმანება, აკვიატებული აზრი, რადენჯერმე გამოჩნდება სოფოკლეს ანტიგონეს მხატვრული სახე. რეჟისორული გადაწყვეტა გადაიქცა არა მარტო მაღალი ადამიანური პრინციპების სიმბოლოდ, არამედ შეხსენებად იმისა, რომ ამ პრინციპების გარეშე შეუძლებელია ადამიანის ცხოვრება მიუხედავად იმისა, თუ რა ეპოქისაა ეს ადამიანი.

დიახ, სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა მასშტაბი, მოვლენები, სიტუაციები განსაზღვრავენ ორივე პიესის მსვლელობას. მთავარი გმირებიც არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ყოველი მათგანი მოქმედების მსვლელობის დროს თავისთვის პოულობს იმ ერთადერთ გამოსავალს, რომელიც მისთვის აუცილებელია. ეს გამოსავალი თითოეულ შემთხვევაში უკავშირდება მათ წარმოდგენას ადამიანის ცხოვრებისეულ ნორმებზე. ახალგაზრდა შემსრულებლებისთვის, არაპროფესიონალებისთვის სწორედ ასეთი გადაწყვეტა აღმოჩნდა ახლობელი. ისინი გატაცებით, ენთუზიაზმით, ეკითხულნდისეულად, სპექტაკლის სოციალური და მხატვრული სვლების ზუსტი გაგებით თამაშობენ. მეტიც, ცდილობენ საგანგებოდ ანვენონ თავისი საკუთარი დამოკიდებულება პიესაში და სპექტაკლში გაბოხატული მოვლენებისადმი. სპექტაკლი გამოირჩევა სცენური მთლიანობით და ყველა კომპონენტის ერთობლივი ეფექტიანობით.

მოვლენებისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო ძლიერად ჩანს იმ ორ მინიატიურაში, იმ ორ კომპოზიციაში, რომლებიც რეჟისორმა ბეელი ოსტატობით და სცენური პლასტიკის ფაქიზი გრძნობით განახორციელა.

ამ მინიატიურათაგან პირველია ლადო ასათიანის პოემის „ბასიანის ბრძოლის“ დადგმა. აქ ყველაფერი მოფიქრებულია მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციებიდან, პოემის ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა მონაწილეების მიერ ემოციურად არის განცდილი. შემსრულებლები ვეშმარიტი გატაცებით წარმოთქვამენ პოემის მოცლვარე სიტყვებს. ქართველი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი, ულროოდ დაღუპული პოეტის ქმნილება მათთვის ახლობელი და საწყვარია.

მეორე მინიატიურა აგებულია აზერბაიჯანულ ხალხურ ლექსებზე — ბაიათებზე და ასეც ჰქვია — „ბაიათები“ (ქართულად თარგნა ზეზვა მედულაშვილმა). მინიატიურებში თამაშდება სხვადასხვა სიუჟეტი — იუმორისტული და ნაღვლიანი, სასაცილო და სევდიანი. იცინის და ტირის უბრალო ადამიანის სული, ბევრი რამ მის ცხოვრებაში ისე როდი ხდება, როგორც ეს სურს. იგრძნობა გულისწყლობა იმ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც თელავდა წარსულში ადამიანის უფლებებს, მის ღირსებებს. ყოველი მინიატიურა ბადებს მდიდარ ასოციაციებს, ისინი ცოცხალი და მკაფიოა, ამ მხრივ მნიშვნელოვანია შესრულების მანერა, იგრძნობა ეროსწილეთა აქტიური დამოკიდებულება თემისადმი, სიტუაციებისადმი, მოვლენებისადმი. მთაბეჭდილებას აძლიერებს მუსიკალური გადაწყვეტა, რომელიც აგებულია საგალობლებზე და ხალხურ საწყისებზე („შენ ხარ ვენახი“, „ეროფული“, „მრავალჟამიერი“, „ანოჩელა“ და სხვ.). სადა და მეტყველია სპექტაკლის გაფორმება (მხატვარი — ვ. გაბიტაშვილი).

საინტერესოა, რომ ალიბეგლოს სახალხო თეატრი სამოღვაწეო სფეროს არ ზღუდავს მარტო საკუთარი სოფლით. ახალგაზრდული კოლექტივი მოგზაურობს რაიონის სხვა სოფლებშიც, უხდება თამაში აზერბაიჯანულ ენაზეც. ალიბეგლოს ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები თავის ამ მისიას წარმატებით ასრულებენ.

ახალგაზრდულ სახალხო თეატრს ყველა ეხმარება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურ მა საზოგადოებამ აჩუქეს ავტობუსი, მშობლიურმა ინსტიტუტმა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა კი გადასცეს კოსტიუმები; თეატრალური ინსტიტუტის თოჯინების სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებმა დათო მაცხონაშვილმა და პაატა ცუცქირიძემ თბილისელი ინგილო სტუდენტების მონაწილეობით დადგეს თოჯინური სპექტაკლი „ოხერტიალა“, მეორე ეს თოჯინები და კოსტიუმები აჩუქეს ალიბეგლოს თეატრს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გასულ ზაფხულს ამ თეატრის ახალგაზრდობამ ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკში დაისვენა. იქ მათ სპექტაკლები უჩვენეს უკრაინელ ბავშვებს, შეიძინეს ახალი მეგობრები. მაყურებელიც ეხმარება ენთუზიასტებს. — ჩვენთან ძალიან კარგი მაყურებელია, დარბაზი ყოველთვის სავსეაო, — ამბობს ანზორ დოლენჯაშვილი.

ასე ცხოვრობს ეს შესანიშნავი ქართული კერა აზერბაიჯანში. ცხოვრობს და სუნთქავს ჩვენი ეპოქის სულისკვეთებით, ნათელი ფიქრებით.

ანზორს ვთხოვე მოეთხრო სამომავლო გეგმებზე.

— ჩვენი უახლოესი გეგმაა, — მიპასუხა მან, იანვარში ჩამოვიდეთ თბილისში. მინდა ბავშვები დავასწრო ქალაქის თეატრებისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა სპექტაკლებს.

გელით, ძვირფასო მეგობრებო!

ეთერ გუგუშვილი.

საახალწლო ნაძვიხეი თბილისის ახლად გახსნილ 172-ე საბავშვო ბაღში.

ს. კილაძის ფოტო.

საკავშირო ჟურნალების ფურცლებზე

ეს პირველი შემთხვევა არ არის: საქვეყნოდ ცნობილი ფოტოჟურნალისტების, გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სმონ კილაძისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის ალექსანდრე სააკოვის ნამუშევრები ხშირად შეგვხვედრია საკავშირო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

აი, ახლაც მათ ხელოვნებაზე მკითხველებს ესაუბრებიან ჟურნალები „სოვეტსკოე ფოტო“ № 11 და „კულტურა ი ჟიზნ“ № 11.

ს. კილაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ს. ვეტროვის წერილში, რომლის სათაურია „მრავალმხრივი ნიჭი“, ვკითხულობთ: როგორც აღიარებული ჟურნალისტი, იგი გამოირჩევა მაღალი დაკვირვებისა ნიჭით, მას შესწევს უნარი შენიშნოს და მყის მოიხელთოს სიტუაცია, რომლის ხანგრძლივობა წამის უმცირესი ნაწილით განისაზღვრება...

ა. სააკოვზე მ. ლეონტიევის წერილის სათაურია „ოსტატის სიჭაბუკე“. იგი წერს: ...ასე გეგონებათ, ფოტოგრაფიაში მისთვის შეუძლებელი არაფერიაო. არც ისე ადვილია მოიძებნოს ვინმე მასავით პროფესიონალი ფოტორეპორტიორი, რომელიც არაერთი ათეული წელი პრესაში მუშაობდეს, ცნობილი კი იყოს როგორც გამოჩენილი ფოტოხელოვანი.



...და დასასრულიც კეთილი!

...ალდრში პლოვდივია, ძველი ფილიპოპოლისი, საიდანაც სულ 28 კილომეტრია პეტრიწონის (ბაჩკოვო) ქართველთა მონასტრამდე. ვიდრე ამ გზას დაადგებიან, ახალი ფერადი სატელევიზიო სამეცნიერო-პოპულარული ფილმის „პეტრიწონის“ ავტორები, ჯერ ბულგარეთის ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ქუჩაბანდებსა და მოედნებს, ძველ თეატრონსა და ახალ უბნებს მოგვატარებენ, იქაური ცხოვრების ორომტრიალში, აჩქარებულ თანამედროვე რიტმში მოგვიცევენ. ასეთი შესავალი იმისთვისაც დასჭირდათ ალბათ, რომ უფრო შეეგრძნონთ, თუ რა „ახლოა“ ზოგჯერ შორეული წარსული და რომ უფრო რომანტიკული, შთამბეჭდავი აღმოჩნდეს გზა როდოპის ქედისაკენ, მდინარე ასენიცის ხეობას რომ მისდევს და იმ მყუდრო სავანეს მიადგება, სადაც ცხრა საუკუნის წინათ დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა ჯონვეული მხედრული ცხოვრებით დაღლილ-დაჭანცულმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ თავის საანტრელ ძმასთან, აბასთან ერთად ეამსა სიბერისა გამარჯვებებს ჩვეული სამხედართმთავრო-სახოლავრო ჯვარი დასაფენა და აღაშენა „პატიოსანი ესე მონასტერი ქართველთაი“ (როგორც წერია მის მიერვე შედგენილ სამონასტრო წესდებაში).

კეთილად დასრულდა სცენარის ავტორისა და რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კარლო ღლონტისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილის კინოექსპედიცია (კომპოზიტორი — ნოდარ მამისაშვილი, სადიტორო ტექსტის ავტორი და რედაქტორი — თამაზ მამულაშვილი). მათი მიზანი იყო შეექმნათ კინომოთხრობა ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის — პეტრიწონის მონასტრისა და მისი აღმშენებელი ძმების — ბაკურიანის ძეთა შესახებ, მოეთხროთ იმ დიდ საგანმანათლებლო საქმიანობაზე, მსგავსად სხვა ქართული საზღვარგარეთული სამონასტრო ცენტრებისა, პეტრიწონშიც რომ მიმდინარეობდა და ძირითადად შუა საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სახელთან და ღვაწლთან არის დაკავშირებული. სწორედ მისი შეგონებანი გვესმის ფილმის დასაწყისში და დასასრულს — თითქოსდა ხმაიო წარსულიდან: „გონებისაგან სიტყვა იშობის და ხოლო ამისი დასაბამი კეთილ არს“... „მას სამყაროსა ცისასა ქონან სამკაულად ვარსკვლავნი, ხოლო უფნებლობასა სათნოებანი“.

ფილმის ავტორები როდი გაიტაცა მარტოოდენ ბუნებისა და ხუროთმოძღვრების შვენიერებამ, ისინი დაკვირვებით გვიჩვენებენ როგორც ძეგლის ხასიათსა და ღირსებას, ასევე პეტრიწონელი საგანმანათლებლო სკოლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, რის გამოც იგი ესოდენ ძვირფასია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ხელოვნებისა და ფილოსოფიის უცხოელ მკვლევართათვისაც.

ფილმი პეტრიწონის სავანის შესახებ არა მარტო მეცნიერული, არამედ პუბლიცისტური ხასიათისაც არის, ამას, ცხადია, განსაზღვრავს მისი დოკუმენტურობაც და ის რეპორტაჟული ეპიზოდები, რომლებშიც ერომანეთის ინაცვლებიან ცნობილი ბულგარელი და ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსი ივან დეინრევი, პროფესორები ილკა ბაკალოვა, პარმენ ზაქარაია, ნოდარ ლომაური, რევაზ სირაძე, პლოვდივის აღორძინების ხანის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ევდოკია ემანუილოვა, მონასტრის წინამძღოლი ნესტორი.

რეჟისორი კარგ ხერხს მიმართავს: ბულგარელი მეცნიერის აზრს და ნათქვამს აგრძელებს, აკონკრეტებს და ზოგჯერ საგანგებოდ იმეორებს კიდეც ქართველი მეცნიერი, რომელიც ამით

ახალი სატელევიზიო ფილმი „პეტრიწონი“

ავრცობს და აღრმავებს კიდეც სათქმელს, ეს კადრები ხედვითი თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან პეტრიწონი შეპირისპირებულია მის თანამედროვე ქართულ ძეგლებთან — გელათთან, სამთავროსთან, რომლის ფონზეც გვესაუბრებიან ეკრანიდან პარმენ ზაქარაია და რევაზ სირაძე. ამით უფრო ნათელი ხდება ამბავი როგორც მოწონავე ფილოსოფიური აზროვნების გადმონერგვა-განვითარებისა (გელათის აკადემიაში იოანე პეტრიწის მოღვაწეობა), ასევე ხუროთმოძღვრული მოტივების ურთიერთგანთესაობისა (პეტრიწონის უძველესი ნაგებობის — ორსართულიანი სამონასტრო საძვალისა ქართული მატერიალური კულტურის X-XII საუკუნის ძეგლებთან, რომლის მაგალითზე პ. ზაქარაია მიმოიხილავს ფასადის თაღედს, რომელსაც საქართველოში უკვე X საუკუნიდან ვხვდებით, ბულგარეთში კი მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან). ამ მეცნიერულ დიალოგებში გამოიკვეთა უკეთ როლი მხატვარ ივეროპოლისის, ანუ ქართველიშვილისა, რომელსაც მიეკუთვნება ძირითადად საძვალის მოხატულობა.

ფილმში გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რაც დროჟამს და მომხდურთა შემოსევებს გადაურჩა: ერთი მათგანია ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, (ასვენია მთავარ ეკლესიაში), რომელიც მონასტრისათვის თვით გრიგორ ბაკურიანის ძეს შეუწირავს და, ასომთავრული. წარწერის თანახმად, 1311 წელს ტაოელ ძმებს ეგნატისშვილებს განუახლებიათ. ეს არის გრიგოლისეულივე წარწერიანი ჯვარი („იესო ქრისტეს ძლევაი“), რომელიც მთავარი ეკლესიის გუმბათზეა, XIII საუკუნის, ესე იგი ჯერჯერობით ყველაზე ძველი ასული გრიგოლის მიერ შედგენილი სამონასტრო წესდებისა, რომელსაც „ალრლო ღლონტმა საბერძნეთის კუნძულ ქიოსზე მიაკვლია ჩვენი უხუცესი მეცნიერის აკადემიკოს აკაკი შანიძის მითითებით (ქართულ და ბერძნულ ენებზე შესრულებულ ამ ხელნაწერს ჩვენი მეცნიერები ს. ყაუხჩიშვილი და ა. შანიძე 60-იანი წლების ბოლოს გაეცნენ მიკროფილმისა და ფოტოპირების მეოხებით. პირველმა ბერძნული ტექსტი გამოსცა 1963 წელს, მეორემ კი ქართული რუსული თარგმანითურთ და კომენტარებით — 1971 წელს). ქიოსზე ხსენებული ხელნაწერი კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაშია დაცული და, როგორც ჩანს, გასული საუკუნის მიწურულს მოხვდა იქ სხვა ხელნაწერებთან ერთად, რაკი კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ წმიდა სინოდის დადგენილებით პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა (ქოსური მონაკვეთი ახალგაზრდა ოპერატორის ი. ვაჩნაძის გადაღებულია).

ეკრანზე ვხედავთ ტიპიკონის მოგვიანო, XIX საუკუნის ასლსაც (გადაწერილს ქართულის არმცოდნე ბერძენი ბერის მიერ), რომელიც სოფიის საჯარო ბიბლიოთეკის კუთვნილებაა; ამ ხელნაწერს დართული აქვს პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი, ქართული წარწერის ტექსტიც.

ყოველივე ეს, გარდა შემეცნებითი ინტერესისა, დიდ ემოციებსა და კაცთმოყვარეობის მჭადაგებელ წინაპართა მიმართ მადლიერების გრძნობას აღვიძებს. ფილმის გადაღების დროს გამოიკვეთა ახალი პრობლემები, ახალი თემები, ცნობილი გახდა კიდევ ერთი ქართული კერის — როეენის მონასტრის არსებობა მაკედონიაში, რომლის შესახებაც ლაპარაკობს აკადემიკოსი დუჩევი და აღნიშნავს, რომ ბულგარეთის ეს ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი სოფიის სამხრეთით მდებარე ქალაქ მელნიკიდან შეიდიოდ კილომეტრზეა და ცნობილია შესანიშნავი კედლის მხატვრობით, ხის ჩუქურთმებით, მთელი არქიტექტურული ანსამბლის პარმონიულობით.

ასე რომ, ერთი ფილმი დასრულდა, მაგრამ მომავალი ფილმის კონტურებიც მოხაზულია. ეს იქნება გაგრძელება მეგობრობის ფესვების ძიებისა, აკი „პეტრიწონის“ ქვესათაურიც ეს არის — „ხალხთა მეგობრობის ფესვები“.

ამ ფესვთა ძიების კვალობაზეა წარმონერილი ფილმში XIX საუკუნის დრამატული ეპიზოდებიც, კერძოდ, დიპლომატ ალექსი წერეთლის (წერეთელევი), მამაც ქართველ მეომართა კონსტანტინე ჭილაშვილის, ლეონ ვაჩნაძის, იოსებ გრიგალაშვილის უანგარო ღვაწლი ბულგარელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ფატალური შემთხვევა: კაპიტან გიორგი ჯორჯაძის რაზმის მიერ მტრის მარბილი ლაშქრის თავდასხმისაგან უცნობი მონასტრის გადარჩენა, რის შესახებაც გრემელის ფსევდონიმით დაისტამბა კორესპონდენცია 1878 წლის 30 ივლისს გაზეთ „დროებაში“ (საერთოდ, გასული საუკუნის ქართული პრესა დიდად ჭირისუფლობდა ბულგარელ ხალხს და ნიადაგ აქვეყნებდა უშუალოდ საკუთარ კორესპონდენტთა მასალებს მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, რაც უშუალოდ ბულგარელ ხალხთან თანაზიარობის უტყუარი საბუთია).

ფილმი „პეტრიწონი“ წრფელი, მამულიშვილური გრძნობითა და წადილით არის შექმნილი. ვინც ნახა ანდა ნახავს, უთუოდ დამეთანხმება, რომ ამ ფილმის წყალობით ის შორეული პეტრიწონი (იგივე ბაჩკოვო) გელათივით, ზარზმა-საფარასავით თუ სვეტიცხოველივით მშობლიური ხდება!

ნანა ღვინეფაძე.

ᲧᲐᲑᲐᲗᲘ

ჰასტინგსის საახალწლო ტურნირი

ჰასტინგსის საახალწლო ტურნირით თავრდება ყოველი საჭადრაკო სეზონი და ჰასტინგსითვე იწყება ყოველი ახალი სეზონიც...

აქ ჩვეულებრივ, ერთდროულად ეწყობა რამდენიმე ასპარეზობა, რომელთაგან, ცხადია, ყველაზე საინტერესოა, ძირითადი ტურნირი. ზოგჯერ ჰასტინგსში ქალებიც თამაშობენ. ერთხელ სათამაშოდ, ეგრეთ წოდებულ „ჩელენჯერ-ტურნირში“ პირველი-მეორე ადგილები გაიყო ვერა მენინიკმა. გაცილებით უკეთესი იყო ნონა გაფრინდაშვილის შედეგი, რომელმაც ძირითად ტურნირში მიზუთე ადგილი დაიკავა. 1985-1986 წლების ძირითად ტურნირში ითამაშა ცალბილმა შვედმა დიდოსტატმა პია კრამლინგმა, რომელიც ბოდოსწინა ადგილზე გამოვიდა.

ახლა ჰასტინგსში დებიუტი აქვს ოთხგზის მსოფლო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს, რომელიც სისტემატურად წარმატებით თამაშობს ვაუებთან. გავიხსენოთ თუნდაც მისი პირველი ადგილი ბანია-ლუკაში და მატჩი ცნობილ იუგოსლავ დიდოსტატს პეტარ პოპოვიჩთან.

ჰასტინგსის ახლანდელი ტურნირი, ადრინდელების მსგავსად, ძლიერია. მასში მონაწილეობს განთქმული დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი, რომელიც ხანდახან ეწევეგა ხოლმე... ევროპას! საქმე ის არის, რომ ლარსენი ბოლო წლებში მუდმივად ბუენოს-აირესში ცხოვრობს და ევროპაში მხოლოდ სათამაშოდ ჩამოდის. ყურადღებას იპყრობს ინგლისის ოლიმპიური ნაკრების (მან დუბაიში ვერცხლის მედლები მოიპოვა) წევრთა თამაში. ამ ნაკრების ოთხეულიდან ამჟამად 3 მოჭადრაკე ასპარეზობს: მიურეი ჩანდლერი, ჯონათან სპილმენი და ჯონ მესტელი. აქვე ასპარეზობენ ანდრაშ ადორიანი, უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, რომელიც რამდენიმე წლის წინ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო, და ერეკენელი დიდოსტატი სმბატ ლუტიანი. ამ უკანასკნელსაც კარგად იცნობს ჭადრაკის სამყარო. ბოლო მომენტში მიიწვიეს სათამაშოდ თბილისელი დიდოსტატი ე. გუფელდი.

ახლა კი გთავაზობთ პირველი ორი ტურის შედეგებს: **პირველი ტური.** ჯ. სპილმენი (ინგლისი)-ს. კუდრინი (აშშ) — 0,5:0,5, ჯ. მესტელი (ინგლისი)-ა. ადორიანი (უნგრეთი) — 0,5:0,5, ე. გუფელდი (სსრ კავშირი)-პ. ლარჯი (ინგლისი) — 0:1, მ. ჩიბურდანიძე (სსრ კავშირი)-ბ. ლარსენი (დანია) — პარტია ორჯერ გადაიდო, ჯ. ხოდგსონი (ინგლისი)-ს. ლუტიანი (სსრ კავშირი)—0,5:0,5, ჯ. პლასკეტი-მ. ჩანდლერი (ორივე — ინგლისი) — 0:1, მ. პეტერსონი (ისლანდია)-ს. კონკუესტი (ინგლისი) — 0,5:0,5; **მეორე ტური.** ლარჯი-ჩიბურდანიძე — 0:1, ლუტიანი-პლასკეტი — 1:0, კუდრინი-კონკუესტი — 1:0. დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

საძარიმველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „მიხეილ რომი“. 11.00 — სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დიდი მომთვინიერებელი“. 12.15 — „წყაროსთვალი“. 13.00 — „კატა და თაგვები“. მუსიკალური წარმოდგენა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით. 13.40 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ჩვენს დიდ სამშობლოში. დოკუმენტური ფილმი „დიდი როსტოვი“. 16.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „სათადარიგო ბორბალი“ და „სათვალთვალო მილი“. 17.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „იამბე ციხის ნაშალი“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „საახალწლო ნაძვისხის ზეიმზე“. 19.00 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ოჯახი“. 19.30 — „დუბაი-86“. 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — ვ. ბურლაცკი. „ორი მოსაზრება ერთი კაბინეტიდან“. ტელესპექტაკლი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყველაფერი თავიდან“. 17.40 — განცხადებები. 17.45 — დოკუმენტური ფილმი „ძველი ოსტატები“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — მაღვიძარა. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — კინოჟურნალი. 10.35 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი — „ცხვირაპეშუები“. 11.00 — სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „მანანა“. 12.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 12.30 — დოკუმენტური ფილმი „კონსტანტინე პაუსტოვსკი“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ფილმ-კონცერტი „მართვე“. 17.40 — მოსწავლეთათვის. „საახალწლო ზღაპარი“. 18.20 — „ექო“. 19.00 — მოამბე. 19.35 — კალათბურთი რ. კორაჩის თასზე: „ლენინგრადის „სპარტაკი“ — იუგოსლავიის „შიბენკა“. თასის მფლობელთა თასზე: „ცსკა“ — ესპანეთის „ბუვენტფიდი“. 21.30 — „აგრომრეწვი მოქმედებს“. 21.45 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჭალები ფული“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — დოკუმენტური ფილმი „ჯა ვოველ ალამოს დანიშნულ საათზე“. 11.00 — სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეგორკა“. 12.10 — ჩვენს დიდ სამშობლოში. დოკუმენტური ფილმები „მურმანსკი“ და „ძველი ქალაქის ცხოვრება“. 12.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 13.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დარბილოს ხიზანი“. 13.30 — მათემატიკის ტაფელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოსწავლეთათვის. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „სალამურა“. 18.30 — „ლიტერატურული ნობათი“ (კითხულობენ ზ. ლებანიძე და კ. საკანდელიძე). 18.55 — სახელმწიფო მიღება: ბრძოლა ხარისხისათვის. 20.05 — მოამბე. 20.40 — ქართული სატელევიზიო ფილმ-ბალეტი „მეთორმეტე ღამე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სტუმრად ჟურნალ „ოგონიო�აკენ“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება. 0.05 — ახალგაზრდობისათვის. „მსოფლიო და ახალგაზრდობა“.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „ბოგონა და გრანგი“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — დოკუმენტური ფილმი „...და კვლავ თავიდან“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „ანტარქტიდის აღმოჩენა“. 11.10 — სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „მზიური“. 12.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული სამკაულის ოსტატები“. 13.00 — აბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სანდო ადამიანი“. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55— „ეს კინოა“. 18.50 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“. 19.20 — ხალხური შემოქმედება. „საიდ ვისვენებთ?“ (წყალტუბოს რაიონი). 19.50 — რეკლამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — აგრომრეწვი მოქმედებს. 20.55 — ლიტერატურული თეატრი. „მარკ ტვენი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო სიმღერებიან კვარტეტთან. 23.35 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სერაფიმას კუნძული“. 17.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საბჭოთა კავშირის ბიოსფერული ნაკრძალები“. 18.15 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვორონეჟი“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ